დამტკიცებულია
შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“
დირექტორი

_____ /ფარხატ ტაშიბაევ/

"_____" _____ 2026 წ.

შეთანხმებულია
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი

_____

"_____" _____ 2026 წ.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

ნავთობის, გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების (გნა) და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ტერმინალი

ქ. ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4[8]

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი

თბილისი

2026

ანოტაცია

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმები დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის ყველა სტაციონარული წყაროსთვის (ობიექტისთვის).

ზდგ ნორმების მოცემულ პროექტში დეტალურადაა განხილული შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ტერმინალის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

დოკუმენტი შემუშავებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის გაანგარიშებულია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მნიშვნელობები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გამოყენებით, ზდგ მნიშვნელობები განსაზღვრულია იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს.

ზდგ ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

სარჩევი

ძირითად ტერმინთა განმარტებები 4

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ 5

2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება 8

3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა 9

3.1. საპროექტო ცვლილებების აღწერა 11

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები 59

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში 60

6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრები 67

ცხრილი 6.1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება 67

ცხრილი 6.2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება 999

ცხრილი 6.3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დახასიათება 1355

ცხრილი 6.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზება, ტ/წელი 13737

7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში 1400

7.1. გაბნევის ანგარიშის გრაფიკული ნაწილი 1433

8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები 17979

ცხრილი 8.1. ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის 17979

ცხრილი 8.2. ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსთვის 2100

9. გამოყენებული ლიტერატურა 2122

დანართი 1. ობიექტის გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროების დატანით 2133

დანართი 2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემები (წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით) 2144

ძირითად ტერმინთა განმარტებები

ა) „ატმოსფერული ჰაერი“ - ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) „მავნე ნივთიერება“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ - ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

დ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას;

ე) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

ვ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია“ - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

ზ) „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა“ - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის" (შემდგომში - ტერმინალი) საწარმოო კომპლექსის სათავე ტერიტორია განლაგებულია ქ. ბათუმში, იურიდიულ მისამართზე - ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4[3]. კომპანიის სამუშაო უბნები მოიცავს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელთა საკადასტრო მონაცემები მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის" სამუშაო უბნების განთავსების საკადასტრო მონაცემები

№	საწარმოო უბნის დასახელება	ფართობი, ჰა	საკადასტრო №	მისამართი
1	ძირითადი ტერიტორია	29,585	05.29.16.015	ქ.ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4 გ.
2	ნავთისა და ავტობენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგური	0,4967	05.29.10.014	ქ.ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4 გ.
3	ნედლი ნავთობის შენახვისა და გადატვირთვის სადგური "ხოლოდნაია სლობოდა"	6,7705	05.29.17.006	ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. N3
4	იმპორტირებადი ნ/პროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო	4,4212	05.29.17.053	ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. N1
5	გამწმენდი ნაგებობები	5,025	05.29.01.015	ქ. ბათუმი, ბაქოს ქუჩა N23
6	გნა-ის მიღებისა და გადატვირთვის სადგური	12,278	05.30.18.001	ქ. ბათუმი, იუსუფ ფაღავას ქ. N69
7	ნედლი ნავთობის შენახვისა და გადატვირთვის სადგური "კაპრეშუმი"	17,269	22.22.11.381	რაიონი ხელვაჩაური, სოფელი კაპრეშუმი
8	ნედლი ნავთობის შენახვისა და გადატვირთვის სადგური "კაპრეშუმი"	3,9581	22.22.11.383	რაიონი ხელვაჩაური, სოფელი კაპრეშუმი

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების (შემდგომში - ნავთობპროდუქტები) გადატვირთვის ოპერაციები. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1, ხოლო საწარმოს ტვირთბრუნვა წარმოდგენილია ცხრილში 1.3.

ნავთობპროდუქტების გადატვირთვის ოპერაციები ხორციელდება შემდეგ საწარმოო უბნებზე (სურ. 1.1):

1. დიზელის საწვავისა და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგური (ტერმინალის ძირითადი ტერიტორია;
2. ნავთისა და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგური (ტერმინალის ძირითადი ტერიტორია);
3. მუქი ნავთობპროდუქტების მიღების და გადატვირთვის საამქრო (ტერმინალის ძირითადი ტერიტორია);
4. ნედლი ნავთობის მიღებისა და შენახვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა";
5. ნედლი ნავთობის მიღებისა და შენახვის სადგური „კაპრეშუმი";
6. იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო;
7. ნავთობპროდუქტების საზღვაო ტრანსპორტით მიღების და დატვირთვის საამქრო.
8. თხევადი გაზის მიღებისა და გადატვირთვის სადგური.

ნავთობპროდუქტების გადატვირთვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, ტერმინალში არსებობს ენერგომომარაგების ქსელი და საქვაბე მეურნეობა, სატრანსპორტო მეურნეობა, მექანიკური და სარემონტო მეურნეობა, ლაბორატორიები და სხვა.

ცხრილი 1.2. ზოგადი მონაცემები ობიექტის შესახებ

ობიექტის დასახელება	**შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“**
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	ქ. ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4[8]
იურიდიული	ქ. ბათუმი, წმ. სევერიან აჭარელის ქ. №4[8]
საიდენტიფიკაციო კოდი	245432544
GPS კოორდინატები	37T X=721302; Y=4613571
საწარმოს ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ფარხატ ტაშიბაევ საკონტაქტო პირი - მერაბ გეგეჭკორი
ტელეფონი	+995 595 14 79 22
ელ-ფოსტა	GegechkoriM@batumioilterminal.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	70 მ - უახლოესი რეზერვუარიდან
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ნავთობპროდუქტების, გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების (გნა) და ნავთობის მიღება, შენახვა, გადატვირთვა
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	მიღებული/შენახული/გადატვირთული ნავთობპროდუქტები, გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირები (გნა) და ნავთობი
საპროექტო წარმადობა	4 300 000 ტონა (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 3.9)
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	-
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა)	ბუნებრივი აირი - 18 269 000 მ^3/წელი; მაზუთი - 16 578,936 ტ/წელი (+გაზის რეჟიმის ავარიული წყვეტისას 1050 ტ/წელი)
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760

სურ. 1.1. კომპანიის კუთვნილი ობიექტების განთავსების სიტუაციური რუკა



2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ქ. ბათუმის ტერიტორია განეკუთვნება IIIბ ქვერაიონს [6].

ცხრილი 2.1. ჰაერის საშუალო ტემპერატურა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
6,7	6,7	8,2	11,3	16,9	20,2	22,9	23,1	20,1	16,2	12,1	9,0	14,4

ცხრილი 2.2. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
74	77	80	80	81	78	78	80	82	83	80	73	79

ცხრილი 2.3. ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
ბათუმი	2685	231

ცხრილი 2.4. პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, °C	26,8
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, °C	6,7
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	9
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	8
- აღმოსავლეთი	11
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	13
- სამხრეთი	12
- სამხრეთ-დასავლეთი	24
- დასავლეთი	14
- ჩრდილო-დასავლეთი	9
- შტილი	18
ქარის სიჩქარე (მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორებადობა შეადგენს 5%-ს, მ/წმ	7,25

3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

ტერმინალის საწარმოო ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 79,8 ჰექტარს, სადაც განლაგებულია 6 საწარმოო უბანი, 6 სარკინიგზო ჩასხმის და ჩამოსხმის ესტაკადა.

ამჟამად ტერმინალს გააჩნია 149 ერთეული რეზერვუარი საერთო ნომინალური მოცულობით 654 400 კუბ. მეტრი, აქედან 107 ერთეული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარები - საერთო ნომინალური მოცულობით 580 800 კუბ. მეტრი, 25 ერთეული გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირების საცავი რეზერვუარები საერთო ნომინალური მოცულობით 5 000 კუბ. მეტრი, ასევე 9 ერთეული ნავთობდამჭერების დამხმარე რეზერვუარები საერთო ნომინალური მოცულობით 39 100 კუბ. მეტრი და 8 ერთეული ტექნიკური წყლის საცავი რეზერვუარები საერთო ნომინალური მოცულობით 29 500 კუბ. მეტრი. ტერმინალს შეუძლია გადატვირთოს 22 სახეობის ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები. ტანკერებიდან პროდუქტის მიღება და ტანკერებზე პროდუქტის დატვირთვა ხორციელდება პორტისგან იჯარით აღებულ ნავმისადგომებზე და უნაპირო ნავმისადგომზე. უნაპირო ნავმისადგომი არის ტერმინალის უმსხვილესი დატვირთვის კომპლექსი, სადაც შესაძლოა 140 000 ტონის წყალწყვის ტანკერების მიღება. შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე ტერმინალი ერთადერთია, სადაც ხორციელდება გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების გადატვირთვა. მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე - 70 მ - უახლოესი რეზერვუარიდან.

ტერმინალის ინფრასტრუქტურა მოწყობილია შემდეგი სახის ნავთობპროდუქტების გადატვირთვისთვის:

1. ნედლი ნავთობი.
2. მუქი ნავთობპროდუქტები (მაზუთი, ბიტუმი, ვაკუუმ-გაზოილი, სხვა ბლანტიანი მუქი ნავთობპროდუქტები);
3. ნათელი ნავთობპროდუქტები (დიზელის საწვავი, ნავთი, საავტომობილო ბენზინი (სხვადასხვა მარკის), ნაფტა, რეაქტიული ძრავის საწვავი და სხვა ნათელი ნავთობპროდუქტები).
4. გათხევადებული ნახშირწყალბადოვანი აირები (პროპანი, ბუტანი)

ნავთობპროდუქტების გადატვირთვის პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, ტერმინალში არსებობს ენერგომომარაგების ქსელი და საქვაბე მეურნეობა, სატრანსპორტო მეურნეობა, მექანიკური და სარემონტო მეურნეობა, ლაბორატორიები, გამწმენდი ნაგებობები და სხვა.

დიზელის საწვავის და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგური	*მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქრო*
	



მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთის საამქრო



ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური "ხოლოდნაია სლობოდა"

არსებული საწარმოო ინფრასტრუქტურის ძირითადი დანიშნულების ობიექტებია:

- დიზელის საწვავისა და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგური - დიზელის საწვავის და ნავთის მიღების და გადატვირთვის სადგურის (შემდგომში - დიზელის სადგური) ინფრასტრუქტურა განთავსებულია ტერმინალის ძირითად ტერიტორიაზე;
- ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგური (ნავთის სადგური) - ნავთისა და საავტომობილო ბენზინის მიღების და გადატვირთვის სადგურში ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება ვაგონ-ცისტერნებით ხორციელდება №5 ესტაკადაზე, საიდანაც ნავთობპროდუქტები შეინახება ნავთის სადგურის სარეზერვუარო პარკებში.
- მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქრო - საამქროს შემადგენლობაში შედის ძირითად ტერიტორიაზე არსებული ნედლი ნავთობისა და მუქი ნავთობპროდუქტების სარეზერვუარო პარკი, სარკინიგზო ესტაკადები №2, №4, №5.
- ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა“ - «ხოლოდნაია სლობოდა» განთავსებულია ნავთობტერმინალის ძირითადი ტერიტორიის აღმოსავლეთით, ქ. ბათუმის ე. წ. „გოროდოკი“-ს უბანში. საწარმოო უბნის ტერიტორია მდებარეობს შემდეგ საზღვრებში: ჩრდილოეთიდან - მდინარე ბარცხანა და საცხოვრებელი ზონის ტერიტორია; ჩრდილო აღმოსავლეთიდან - ქიმიურ ფარმაცევტული ქარხანა; აღმოსავლეთიდან - მდინარე ბარცხანა და იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების სადგური (ძველი სახელწოდება - ნავთობბაზის უბანი); სამხრეთიდან - ვოლსკის ქუჩა და საცხოვრებელი ზონა; დასავლეთიდან - კერძო კომპანიის (ავტოსადგურის) ტერიტორია.
- ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური „კაპრეშუმი“ - განლაგებულია განცალკევებულ ტერიტორიაზე, რომელიც ბათუმის ნავთობის ტერმინალის საკუთრებაა. «კაპრეშუმის» რეზერვუარების პარკს ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან – სოფელ კაპრეშუმის მოსახლეობის საკარმიდამო ეზოები. აღმოსავლეთიდან – სოფელ კაპრეშუმის მოსახლეობის საკარმიდამო ეზოები. სამხრეთიდან – მდინარე ყოროლისწყალი, მოსახლეობის საკარმიდამო ეზოები და ,,თამარის“ დასახლება. დასავლეთიდან – შპს,,ბაკურიძე და კომპანიას” ნავთობის ნარჩენებისა და ნედლი ნავთობის გადამამუშავებელი მინი საწარმო.
- იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო - სარეზერვუარო პარკი განლაგებულია ქ. ბათუმში, ვოლსკის ქუჩის გასწვრივ არსებულ განცალკევებულ ტერიტორიაზე, ე. წ. "გოროდოკის” დასახლებაში. «ნავთობბაზას» სარეზერვუარო პარკს ესაზღვრება: ჩრდილოეთიდან - მდინარე ბარცხანა, მდინარის გაღმით ზეთების ქარხანა; აღმოსავლეთიდან - კომპანია Vibro Diagnostik FZE-ს სარეზერვუარო პარკი, რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წელს და შემდეგ, მდინარე ბარცხანა, მდინარის გადაღმა - მოსახლეობის საკარმიდამო ეზოები. დასავლეთიდან - შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნედლი ნავთობის მიღების და გადატვირთვის სადგურის «ხოლოდნაია

სლობოდას» სარეზერვუარო პარკი. სამხრეთიდან - ვოლსკის ქუჩა და შემდგომ საცხოვრებელი ზონა.

- ნავთობპროდუქტების საზღვაო ტრანსპორტით მიღებისა და დატვირთვის საამქრო (ნავმისადგომების უბანი)- განლაგებულია ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ძირითად აკვატორიაში და უშუალოდ ესაზღვრება ქალაქის სანაპიროზე განლაგებულ საკურორტო ინფრასტრუქტურას. «სატვირთო ნავმისადგომები» შპს «ბათუმის საზღვაო ნავსადგურის» საკუთრებაა და ნავთობტერმინალი ესპლუატაციას უწევს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. ნავმისადგომების ტექნიკურ მომსახურებას, მათ შორის ნავმისადგომების დაღრმავებით სამუშაოებს და შესაბამის ბათიმეტრიას ატარებს შპს «ბათუმის საზღვაო ნავსადგური».

3.1. საპროექტო ცვლილებების აღწერა

წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შემუშავებულია საწარმოს ექსპლუატაციის პირობებში განხორციელებული ცვლილებების შეფასების მიზნით და არ მოიცავს საწარმოს მთლიან საქმიანობას ან ახალი პროექტის განხორციელებას. ანგარიში ეფუძნება საწარმოს ფაქტობრივ საოპერაციო მაჩვენებლებს, არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მდგომარეობასა და განხორციელებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შედეგებს.

ცვლილებები განპირობებულია **ნედლ ნავთობზე მოთხოვნის შემცირებითა და ბოლო წლების ფაქტობრივი ტვირთბრუნვის მაჩვენებლებით**, რომლის მიხედვითაც საწარმოს საქმიანობა ხორციელდება **გზშ-ით თავდაპირველად გათვალისწინებულ წლიურ 5 მილიონ ტონამდე ტვირთბრუნვაზე მნიშვნელოვნად დაბალი მოცულობებით**. აღნიშნული გარემოება გახდა ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის საფუძველი, ფართომასშტაბიანი დემონტაჟისა და ახალი მშენებლობების გარეშე. სარეზერვუარო პარკებში რეზერვუარების რაოდენობებისა და მოცულობების გადანაწილება განხორციელდა **მოქმედი გზშ-ით უკვე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში**, ჯამური საპროექტო შესაძლებლობების შემცირებული ფაქტობრივი გამოყენების პირობებში.

შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებები არ უკავშირდება საწარმოო საქმიანობის გაფართოებას, არ იწვევს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის მოცულობების ზრდას და არ იწვევს ახალი ემისიის წყაროების წარმოქმნას. აღნიშნულიდან გამომდინარე:

- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პარამეტრები უმნიშვნელოდ იცვლება;
- წყლის გარემოზე ზემოქმედება არ სცდება არსებულ დონეს;
- ხმაურისა და ნიადაგზე ზემოქმედების ინტენსივობა არ იზრდება.

გარემოსდაცვითი პროგრამის 2020–2030 წლების პერიოდის გადახედვის შედეგად, რუტინული და ოპერაციული ხასიათის ღონისძიებები ინტეგრირდა მონიტორინგის გეგმასა და შემარბილებელ ღონისძიებებში, ხოლო ძირითადი და სტრუქტურული საკითხები აისახა განახლებულ გარემოსდაცვით პროგრამაში 2026–2030 წლებისთვის. ნავთობშლამებისა და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების მართვა დაგეგმილია მოქნილი მიდგომით, რაც ითვალისწინებს ინსინერაციის, უფლებამოსილ მესამე პირებზე გადაცემის, ბიორემედიაციის მეთოდების ან მათი კომბინირებული გამოყენების შესაძლებლობას, კონკრეტული შემთხვევის ტექნიკური და გარემოსდაცვითი მახასიათებლების გათვალისწინებით.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“-ს 2021 წლის გზშ-ზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის (ბრძანება N2-239) შემდგომ დღევანდელ დღემდე, ტერმინალის ტერიტორიაზე განხორციელდა და დაგეგმილია რამდენიმე ტექნიკური სახის ცვლილება, კერძოდ:

ცხრილი 3.1. ტერმინალის ტერიტორიაზე განხორცილებული და დაგეგმილი ტექნიკური სახის ცვლილებები

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
1	მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს №224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 250 და 251 რეზერვუარებში სხვადასხვა ნავთობპროდუქტების შენახვა	№224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 250 და 251 რეზერვუარების გამოყენება დაგეგმილი იყო მაზუთის, ვაკუმ-გაზოილის და ნედლი ნავთობის შესანახად.	არ არის გათვალისწინებული	2021 წლიდან ყველა ზემოთ მითითებული რეზერვუარი აღიჭურვა დიზელის, ნავთისა და ბენზინის მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციების ჩასატარებლად საჭირო ტექნოლოგიური კომუნიკაციებით. შესაბამისად ყველა ეს რეზერვუარი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც მუქი, ასევე ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციების ჩასატარებლად, ხოლო №250 და 251 რეზერვუარები შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნას ნედლი ნავთობისათვისაც (მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობი).
2	მუქი ნავთობპროდუქტების საამქროს ძირითადი ტერიტორიის რეზერვუარების პარკში №236, 237, 238 რეზერვუარების დაბრუნება	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით აღნიშნული რეზერვუარები უნდა გამოყენებულიყო დიზელის საწვავის შენახვისთვის.	არ ითვალისწინებს	2022 წლიდან №№ 236,237 და 238 რეზერვუარები ისევ დაუბრუნდა მუქი ნავთობპროდუქტების საამქროს, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული რეზერვუარები აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, როგორც ნათელი ასევე ნედლი ნავთობისა და მუქი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემისათვის, სამომავლოდ საწარმოოს საჭიროებისამებრ, შეიძლება შეიცვალოს მისი ფუნქციური კუთვნილების საკითხი.

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
3	№4 სარკინიგზო ესტაკადაზე ახალი აირგამწმენდის მონტაჟი №5 სარკინიგზო ესტაკადაზე დაერთება სუნჩამხშობ დანადგარსა სარეკუპერაციო დანადგართან.	-	N5 სარკინიგზო ესტაკადის აღჭურვა-დაკომპლექტება ნავთობპროდუქტების ჰერმეტიულად ჩასხმის მოწყობილობით და აირგამყვანი მილსადენით. სარკინიგზო ესტაკადის მიერთება არსებულ გაზგამწმენდ სარეკუპერაციო დანადგართან.	2024 წელს №4 სარკინიგზო ესტაკადაზე დამონტაჟდა ახალი აირგამწმენდი, სუნჩამხშობი სისტემა მილსადენებითა და გამწმენდი ფილტრ-დანადგარით, რომელიც უზრუნველყოფს ნედლი ნავთობის გადატვირთვა-ჩატვირთვის ოპერაციების დროს წარმოქმნილი მერკაპტანებისა და გოგირდწყალბადისაგან აირების გაწმენდას. №5 სარკინიგზო ესტაკადაზე ახალი აირგამათანაბრებელი სისტემის მილსადენებით დაუერთდა ახლადმოწყობილ სუნჩამხშობ დანადგარს და ასევე დაუერთდა არსებულ სარეკუპერაციო დანადგარს.
4	„ნედლის ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგურის „ხოლოდნაია სლობოდას“ №№141, 142, 143 რეზერვუარების გადაცემა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვის.	NN 141, 142 და 143 რეზერვუარები გადაყვანილია ტანკერებიდან ნავთობბაზისთვის ჩამოტვირთული დიზელის საწვავის შესანახად.	NN 141-143 რეზერვუარის პარკის გაწმენდა და რეაბილიტაცია	№№141, 142, 143 რეზერვუარებს ჩაუტარდა სრული კაპიტალური რემონტი, აღიჭურვა შესაბამისი ტექნოლოგიური კომუნიკაციებით და გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვის
5	„ხოლოდნაია სლობოდას“ II ჯგუფის (№144, №145, №146, №147, №148, №149, №156)	გზშ-ის მიხედვით, №144, №145, №146, №147, №148, №149 და №156	პროგრამით №144, №145, №146, №147, №148 და №149 რეზერვუარებთან	ცვლილების თანახმად, №144, №145 და №148 შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვის, ხოლო შესაბამისი რემონტისა და აღჭურვის

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
	რეზერვუარების გამოყენების ცვლილება	რეზერვუარები განკუთვნილი იყო ძირითადად ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად.	მიმართებით გათვალისწინებული იყო საჭიროების შემთხვევაში დემონტაჟი, ხოლო №156 რეზერვუართან დაკავშირებით ცალკე ღონისძიება გათვალისწინებული არ იყო.	შემთხვევაში -ასევე ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემისთვისაც. №146, №147, №149 და №156 კვლავ გამოყენებული იქნება ჩვეულებრივი ნავთობისთვის.
6	ნედლი ნავთობის შენახვისა და გადატვირთვის სადგურის ,,ხოლოდნაია სლობოდას“ უბანზე არსებული №140 რეზერვუარის გადაცემა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროსთვის.	გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნედლი ნავთობის შენახვისა და გადატვირთვის სადგურის უბანზე არსებული №140 რეზერვუარი საჭიროებდა კაპიტალურ რემონტს. იგი გამოიყენებოდა ნედლი ნავთობის შენახვისთვის.	ხოლოდნაია სლობოდას N140 რეზერვუარის კაპიტალური რემონტი, მათ შორის, ნავთობის დონის კონტროლის დანადგარის მონტაჟი, შეღებვა	გარემონტდა და №140 რეზერვუარი შიდა ბრძანების საფუძველზე (ბალანსიდან ბალანსზე) გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვის.
7	მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთის საამქროს ნედლი ნავთობის (ბუფერული) P ჯგუფის №112, №113 და №114 რეზერვუარების გამოყენება	აღნიშნული რეზერვუარები გათვალისწინებული იყო ნავთობის შესანახად.	პროგრამით გათვალისწინებული იყო №112, №113 და №114 რეზერვუარების დემონტაჟი 2027–2028 წლებში.	ცვლილების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული რეზერვუარები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნედლი ნავთობისთვის, ისე მუქი ნავთობპროდუქტებისთვისაც.

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
	როგორც ნედლი ნავთობისთვის, ისე მუქი ნავთობპროდუქტებისთვის			
8	მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქრო ნედლი ნავთობის (ბუფერული) P ჯგუფის №116 რეზერვუარის გამოყენება ნედლი ნავთობისთვისაც	№116 რეზერვუარი გათვალისწინებული იყო დაჭერილი ნავთობპროდუქტების შესანახად.	პროგრამით გათვალისწინებული იყო №116 რეზერვუარის დემონტაჟი 2027–2028 წლებში.	ცვლილების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში №116 რეზერვუარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვისაც.
9	მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს რეზერვუარების გამოყენების გაფართოება	გზშ-ის მიხედვით, საამქროს რეზერვუარები განკუთვნილი იყო ძირითადად მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილის, ნავთობის, ნედლი ნავთობის, ნავთობშლამებისა და, ცალკეულ შემთხვევაში, დიზელის საწვავის შესანახად.	პროგრამით გათვალისწინებული იყო №71, №90 და №92 რეზერვუარების დემონტაჟი 2026–2027 წლებში, №74–80 და №112–116 რეზერვუარების დემონტაჟი 2027–2028 წლებში, ასევე NN 74–80 რეზერვუარების პარკის გაწმენდა და რეაბილიტაცია.	ცვლილების თანახმად, საამქროს რეზერვუარების გამოყენება მნიშვნელოვნად ფართოვდება: №71 შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის ან ნავთობის/მაზუთისთვის; №80, №90 და №92 - ნავთობის, მაზუთის ან ვაკუუმ-გაზოილისთვის; №74–79, №112–116, №224–231, №236–238, №250–251 - სხვადასხვა კომბინაციით მუქი/ნათელი ნავთობპროდუქტებისა და ნედლი ნავთობისთვის, მათ შორის ცალკეულ შემთხვევებში მერკაპტანიანი და „თენგიზის“ ნავთობისთვისაც. ამასთან, №84 გამოიყენება ტექნიკური წყლისთვის, ხოლო №106 - ნავთობშემცველი წყლის მისაღებად.
10	დიზელის საწვავის და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგურში	№2, №5, №7, №8, №9, №15, №16, №21 და №22 რეზერვუარები	პროგრამით გათვალისწინებული იყო №2, №5, №7, №8, №9, №15, №16,	ტერმინალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დემონტაჟი არ განხორციელდეს. აღნიშნული რეზერვუარები რჩება ექსპლუატაციაში ნათელი ნავთობპროდუქტების

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
	№2, №5, №7, №8, №9, №15, №16, №21, №22, №27, №31, №32 და №34 რეზერვუარებში ნათელი ნავთობპროდუქტების შენახვა (ბენზინის გარდა)	გათვალისწინებული იყო ნავთის, ხოლო №27, №31, №32 და №34 - დიზელის საწვავის შესანახად.	№21, №22, №27, №31 და №32 რეზერვუარების დემონტაჟი 2024–2025 წლებში, ხოლო №34 რეზერვუარის დემონტაჟი 2026 წელს.	შესანახად, ბენზინის გარდა. დემონტაჟი განხორციელდება მხოლოდ ინდივიდუალური ტექნიკური წუნდების შემთხვევაში. №15 დროებით გამოყვანილია ექსპლუატაციიდან.
11	ნავთისა და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის რეზერვუარებში ნათელი ნავთობპროდუქტების შენახვა	№1, №55, №56, №58 და №60 გათვალისწინებული იყო ნავთის, ხოლო №161, №162, №163, №164 და №255–259 - ბენზინის შესანახად.	პროგრამით გათვალისწინებული იყო №1, №3, №55, №56 და №60 რეზერვუარების დემონტაჟი 2022–2023 წლებში, ხოლო №160–164 რეზერვუარების ნაცვლად 2029–2030 წლებში 5 ერთეული 12 000 მ³ რეზერვუარის მშენებლობა.	ცვლილების თანახმად, აღნიშნული რეზერვუარები გამოყენებული იქნება ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად. ცვლილება ეფუძნება არსებული ინფრასტრუქტურის ფუნქციური გამოყენების გაფართოებას.
12	ნედლი ნავთობის მიღებისა და შენახვის სადგური „კაპრეშუმის“ №203, №210 და №213 რეზერვუარებში მერკაპტანიანი ნავთობის შენახვა	გზშ-ის მიხედვით, აღნიშნული რეზერვუარები განკუთვნილი იყო ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად.	კაპრეშუმის სარეზერვუარო პარკის №210 და 213 რეზერვუარების კაპიტალური რემონტი, მათ შორის შეღებვა	საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული რეზერვუარები ასევე გამოყენებული იქნება მერკაპტანიანი ნავთობის შესანახადაც. ამასთან, სამივე რეზერვუარი გარემონტდა კომპანიის მიერ.
13	ნავთისა და ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის უბნის №240 და №241	გზშ-ის მიხედვით, №240 და №241 რეზერვუარები არ გამოიყენებოდა	პროგრამა აღნიშნულ რეზერვუარებთან დაკავშირებით ცალკე	№240 და №241 რეზერვუარები დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად. ამჟამად ისინი გამოიყენება უბნის ბენზინის რეზერვუარებიდან

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
	რეზერვუარების გამოყენება ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად	გადატვირთვის პროცესში, ვინაიდან არ იყო აღჭურვილი სარეკუპერაციო სისტემით და ჰქონდათ მცირე მოცულობა.	ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა.	ნარჩენი პროდუქტის გამორეცხვისა და წყლისგან განცალკევების შედეგად მიღებული ბენზინის შესანახად. ორივე აღჭურვილია დამცავი სარქველით.
14	ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის შემცირება	2020–2025 წლებისთვის ბათუმის ნავთობტერმინალის საწარმოს ტექნოლოგიური გეგმით გათვალისწინებული იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა წლიურად 5 020 000 ტონის ოდენობით.	გარემოსდაცვითი პროგრამა ითვალისწინებდა რიგი რეზერვუარების დემონტაჟსა და რემონტს.	ფაქტიური ტვირთბრუნვის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში საწარმოს რეალური დატვირთვა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ მაჩვენებლებს. 2026 წელს ნავთობპროდუქტების დაგეგმილი საერთო ტვირთბრუნვა შეადგენს 3 950 000 ტონას, ხოლო 2027–2030 წლებში 4 100 000 ტონას.
15	ბათუმის ნავთობტერმინალის ლაბორატორიების გაფრქვევის წყაროების ასახვა ზდგ-ში და დამატებითი გათბობის ქვაბების მონტაჟი	ლაბორატორიები როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები ცალკე არ იყო დეტალურად ასახული. ენერგომომარაგების და საქვაბე მეურნეობის	ცალკე ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა.	ზდგ-ის ნორმების პროექტში ასახულია ტერმინალის 4 ლაბორატორია (ჯგუფები გ-77 -გ-80), ჯამში 8 გაფრქვევის წყარო (№48–55). კერძოდ: გ-77 (ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საგამოცდო ლაბორატორია, ძირითადი ტერიტორია, 4 გამწოვი კარადის მილი), გ-78 (დაკალიბრების ლაბორატორია, ძირითადი ტერიტორია, 1 გამწოვი კარადის მილი), გ-79 (ეკოლოგიური მონიტორინგის ლაბორატორია,

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
		შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო ძირითადი საქვაბე №1, ადმინისტრაციული შენობების საქვაბე №2, სარემონტო-მექანიკური განყოფილების საქვაბე და №2 სარკინიგზო ესტაკადის ადმინისტრაციული შენობის საქვაბე. დამატებითი საქვაბე სისტემები სხვა ობიექტებში ცალკე არ იყო გათვალისწინებული.		სატვირთო ნავმისადგომების უბანი, 2 ინსინერატორი), გ-80 (გაზის ანალიზის ლაბორატორია, თხევადი გაზის უბანი, 1 ინსინერატორი). ყველა ლაბორატორია მუშაობს 8 სთ/დღე, 2920 სთ/წელი. ამასთან, ტერმინალის ობიექტებში დაგეგმილია გათბობის და ცხელი წყლით მომარაგების ქვაბების მონტაჟი. მეოთხე სარკინიგზო ესტაკადის საოპერატორო შენობაში - 2 ქვაბი (გათბობა და ცხელი წყალი), სასადილოს შენობაში - 1 ქვაბი (მხოლოდ ცხელი წყლით მომარაგება). დიზელის უბნის საოპერატორო და შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის განყოფილების შენობა (1 ქვაბი), ნავთის უბნის საოპერატორო (1 ქვაბი), სატრანსპორტო უბნის საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები (1 ქვაბი), თხევადი აირის (გნა) უბნის საოპერატორო (1 ქვაბი) და თხევადი აირის (გნა) უბნის საოფისე შენობა (1 ქვაბი). დამატებითი ქვაბები ასახული იქნება ზდგ-ის ნორმების პროექტში, როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები.
N	დამატებითი ცვლილებები			
	შპს ბათუმის ნავთობტერმინალის გარემოსდაცვითი პროგრამის (2020 –2030 წწ) და მონიტორინგის გეგმების	არსებული გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავდა ისეთ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უკვე ინტეგრირებულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმასა და საწარმოში მოქმედ ტექნიკურ პროტოკოლებში. აღნიშნული ღონისძიებების განმეორებითი ასახვა განახლებული პროგრამის ფარგლებში მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, ვინაიდან მათი განხორციელება მუდმივად უზრუნველყოფილია მოქმედი მონიტორინგის, კონტროლისა და ტექნიკური რეგლამენტების საფუძველზე. შესაბამისად, ის საკითხები,		

N	ცვლილების საგანი	გზშ-ის ანგარიში რას ითვალისწინებდა	გარემოსდაცვითი პროგრამა 2020 –2030 წლამდე პერიოდში რას ითვალისწინებდა	ცვლილება რას ითვალისწინებს
	განახლება	რომლებიც თავისი შინაარსით განეკუთვნება გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმას, ინტეგრირებულია და სრულად დარეგულირდება გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით. ღონისძიებები, რომლებიც შესრულდა ან რუტინულ ხასიათს ატარებს, განახლებული პროგრამიდან ამოღებულია. ამასთან, გარემოსდაცვითი პროგრამის განახლებული რედაქცია კონცენტრირებულია ძირითად, პრიორიტეტულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება გარემოსდაცვითი რისკების შემცირების თვალსაზრისით მიზანშეწონილად და აუცილებლად არის მიჩნეული.		
	გარდა რემედიაციის ღონისძიებისა და ინსინერაციისა, ნავთოპროდუქტებით დაბინურებული შლამების მესამე პირზე გადაცემა	ვინაიდან, საკუთრებაში არსებული ინსინერატორი მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაშიც კი, კომპანია ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილი რაოდენობის ნარჩენების ინსინერაციას. ამიტომ, კომპანია გეგმავს ზემოთ მოცემული ნარჩენები (05 01 03*, 16 07 08*) შემდეგი მართვისთვის, ხელშეკრულების საფუძველზე ასევე გადასცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. კომპანია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის მართისთვის ასევე განიხილავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ბიორემედიაციის მეთოდის გამოყენებას, რისთვისაც მომდევნო წლებში შესწავლილი იქნება ბიორემედიაციის შესაბამისი ტექნოლოგია და ამ ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობა. გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით მისაღები ტექნოლოგიის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ასევე დანერგავს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის ბიორემედიაციის მეთოდს.		

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, სარეზერვუარო პარკებში განისაზღვრა შემდეგი მოცულობები (იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი).

ცხრილი 3.2. სარეზერვუარო პარკებში რეზერვუარების რაოდენობები და მოცულობები

დასახელება	2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება)		არსებული მოცულობები		განმარტება
	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	
„ნედლის ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგურის „ხოლოდნაია სლობოდა“	11	82 500	7	52 500	140, 141, 142 და 143 რეზერვუარები გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვის
ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური "კაპრეშუმი"	17	172 000	16	160 000	განხორციელდა კაპრეშუმის უბნის N209 რეზერვუარის დემონტაჟი
მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთის საამქრო	32[1]	150 500	34	211 000	N84 და N106 რეზერვუარები აღარ არის ასახული, რადგან ისინი გამოიყენება ტექნიკური წყლისთვის.

[1] P ჯგუფით (ბუფერული რეზერვუარები N112 113, 114, 116- ის ჩათვლით იყო გზშ-ის ანგარიშით რეზერვუარების რაოდენობა იყო 36.

დასახელება	2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება)		არსებული მოცულობები		განმარტება
	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	
იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო	18[2]	23 400	21	53 400	დაემატა 140-141-142-143 რეზერვუარები, N15 რეზერვუარი აღარ არის ექსპლუატაციაში
ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგური	10	40 000	16	62 900	N3 რეზერვუარი გამოყვანილია ექსპლუატაციიდან.200 მ3 მოცულობის N240 და N241 რეზერვუარები არ არის აღჭურვილი სარეკუპერაციო სისტემით და ამ მიზეზით, და ასევე მცირე მოცულობის გამო, არ გამოიყენება გადატვირთვის პროცესში. ამასთან, დამატებულია N239 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 5 რეზერვუარი 255, 256, 257, 258, 259

[2] გზშ-ის ანგარიშის ცხრილი 5.7.1. იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს რეზერვუარების ტექნიკური მონაცემები 2020 წლის 1 იანვრის მაჩვენებლებით მიხედვით არის 18, ხოლო ცხრილი 4.2.1. მონაცემები ბათუმის ნავთობტერმინალის არსებული სარეზერვუარო პარკების შესახებ. 17.

დასახელება	2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება)		არსებული მოცულობები		განმარტება
	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	რაოდენობა	რეზერვუარების პარკების მოცულობა, ტ	
დიზელის საწვავის და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგური	14	46 000	13	41 000	მოხდა N40 რეზერვუარის დემონტაჟი.
სულ	101	514 000	107	580 800	-

*წარმოდგენილი ცხრილის ანალიზი აჩვენებს, რომ სარეზერვუარო პარკებში განხორციელებული ცვლილებები უკავშირდება **რეზერვუარების ფუნქციურ გადანაწილებას, დემონტაჟს, ცალკეული რეზერვუარების ექსპლუატაციიდან გამოყვანას და გზშ-ით უკვე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში დამატებას**, ხოლო არა საწარმოს ახალი შენახვის სიმძლავრის შექმნას.*

ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით:

- *ცალკეულ პარკებში **რეზერვუარების რაოდენობის შემცირება** (მაგ. 11-დან 7-მდე; 17-დან 16-მდე; 14-დან 13-მდე) დაკავშირებულია კონკრეტული რეზერვუარების დემონტაჟთან (N209, N40) ან ექსპლუატაციიდან გამოყვანასთან (N3, N15), რაც განპირობებულია ტექნიკური მდგომარეობით, ოპერაციული საჭიროებებითა და გარემოსდაცვითი მოთხოვნებით.*
- *რიგ შემთხვევებში **რეზერვუარების რაოდენობის ზრდა** (მაგ. 32-დან 34-მდე; 18-დან 21-მდე; 10-დან 16-მდე) არ წარმოადგენს ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, არამედ უკავშირდება:*
    - *რეზერვუარების ფუნქციურ გადაცემას სხვა საამქროებზე (N140, N141, N142, N143);*
    - *გზშ-ის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული **ხუთი რეზერვუარის დამატებას** (№255–259), რაც მოხდა უკვე დამტკიცებული ჯამური მოცულობის ფარგლებში. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდა 5 ერთეული, თითოეული 5 000 მ³ მოცულობის, სტაციონარულსახურავიანი ნავთობის შესანახი რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაცია. პროექტის ფარგლებში განხორციელდა რეზერვუარების ტექნოლოგიური და აირგამყვანი მილსადენების, საწარმოო-სანიაღვრე კანალიზაციის, ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებისა და ქაფის ავტომატური მიწოდების სისტემების მონტაჟი და მათი მიერთება არსებულ ქსელებთან, ზვინულების მოწყობა და შიდა ტერიტორიის მობეტონება, მეხაძრიდებისა და დამიწების სისტემების მონტაჟი, რეზერვუარების პარკის გარე განათების მოწყობა.*

- *მოცულობების ზრდა ცალკეულ პარკებში (მაგ. 150 500 ტ-დან 211 000 ტ-მდე; 40 000 ტ-დან 62 900 ტ-მდე) წარმოადგენს **შიდა ოპტიმიზაციის შედეგს** და ეფუძნება გზშ-ით გათვალისწინებული რეზერვუარების ჩართვას და არა ახალი სიმძლავრის დაგეგმვას.*
- *ამავე დროს, რიგი რეზერვუარები **აღარ აისახება სარეზერვუარო მოცულობებში**, ვინაიდან ისინი აღარ გამოიყენება ნავთობპროდუქტების გადატვირთვის პროცესში (მაგ. N84 და N106 - ტექნიკური წყლისთვის გამოყენება; N240 და N241 - მცირე მოცულობისა და სარეკუპერაციო სისტემის არარსებობის გამო).*
- *მთლიანობაში, მიუხედავად ცალკეული პარკების ფარგლებში რაოდენობრივი და მოცულობითი გადანაწილებისა, **სარეზერვუარო პარკების ჯამური მოცულობა იზრდება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც უკვე გათვალისწინებული იყო მოქმედი გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით**, კონკრეტულად ხუთი დამატებითი რეზერვუარის ხარჯზე.*

*შესაბამისად, ცხრილის ბოლო შემაჯამებელი მაჩვენებლები (101 → 107 რეზერვუარი; 514 000 ტ → 580 800 ტ) ასახავს არა საწარმოს ფუნქციური გაფართოების ფაქტს, არამედ **გზშ-ით დამტკიცებული ინფრასტრუქტურის სრულად ასახვას განახლებულ სქემაში**, არსებული საოპერაციო რეალობის შესაბამისად.*

ამავე დროს, რიგი რეზერვუარები აღარ აისახება სარეზერვუარო მოცულობებში, ვინაიდან ისინი აღარ გამოიყენება ნავთობპროდუქტების გადატვირთვის პროცესში (მაგ.: №84 და №106 -ტექნიკური წყლისთვის გამოყენება)

მთლიანობაში, მიუხედავად ცალკეული პარკების ფარგლებში რაოდენობრივი და მოცულობითი გადანაწილებისა, სარეზერვუარო პარკების ჯამური მოცულობა იზრდება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც უკვე გათვალისწინებული იყო მოქმედი გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, კერძოდ ხუთი დამატებითი რეზერვუარის ექსპლუატაციაში შეყვანის ხარჯზე.

ცხრილი 0.3. ცვლილებები სარეზერვუარო პარკების და რეზერვუარების მიხედვით

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
დიზელის საწვავის და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგური							
1	**"A" ჯგუფი (გ-1)**	2	3000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტები გარდა ბენზინისა	დიზელის საწვავის და ნავთის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის ფარგლებში გზშ-ის ანგარიშით რეზერვუარები ფუნქციურად იყო განაწილებული ნავთისა და დიზელის საწვავის შესანახად. კერძოდ, „A“ ჯგუფის (გ-1) რეზერვუარები -№2, №5, №7, №8, №9, №15, №16, №21 და №22 - გათვალისწინებული იყო ნავთის შესანახად, ხოლო „B“ ჯგუფის (გ-2)
2		5	3000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტები გარდა ბენზინისა	
3		7	3000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტები გარდა ბენზინისა	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
4		8	3000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	რეზერვუარები -№27, №31 და №32, ასევე „D“ ჯგუფის (გ-4) №34 რეზერვუარი - დიზელის საწვავის შესანახად. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით აღნიშნული რეზერვუარების მიმართ გათვალისწინებული იყო ეტაპობრივი დემონტაჟი. კერძოდ, №2, №5, №7, №8, №9, №15, №16, №21, №22, №27, №31 და №32 რეზერვუარების დემონტაჟი დაგეგმილი იყო 2024–2025 წლებში, ხოლო №34 რეზერვუარის დემონტაჟი -2026 წელს. ცვლილების თანახმად, ტერმინალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ მასობრივი დემონტაჟი არ განხორციელდეს. აღნიშნული რეზერვუარები რჩება ექსპლუატაციაში და მათი გამოყენება დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად, ბენზინის გარდა. ამდენად, თუ გზშ-ის მიხედვით მათი ფუნქციური დანიშნულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ ნავთისა და დიზელის საწვავის შენახვით, ცვლილების შედეგად შესაძლებელი ხდება მათი გამოყენება ნათელი ნავთობპროდუქტების უფრო ფართო სპექტრისთვის, ბენზინის გამოკლებით. ამასთან, ცვლილებით განსაზღვრულია, რომ დემონტაჟი განხორციელდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისი რეზერვუარის ინდივიდუალური
5		9	1000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
6		15	2000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	დროებით გამოყვანილია ექსპლუატაციიდან, რემონტის შემთხვევაში მოხდება ნათელი ნავთობპროდუქტების შენახვა, გარდა ბენზინისა	
7		16	3000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
8		21	5000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
9		22	5000	ნავთი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
10	**"B" ჯგუფი (გ-2)**	27	3000	დიზელი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
11		31	3000	დიზელი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	
12		32	3000	დიზელი	დემონტაჟი 2024 – 2025 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტების გარდა ბენზინისა	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
13	**"D" ჯგუფი (გ-4)**	34	4000	დიზელი	დემონტაჟი 2026 წელს	ნათელი ნავთობპროდუქტები გარდა ბენზინისა	ტექნიკური წუნდების დადასტურების საფუძველზე. გამონაკლისს წარმოადგენს №15 რეზერვუარი, რომელიც დროებით გამოყვანილია ექსპლუატაციიდან; მისი შემდგომი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რემონტის ჩატარების შემთხვევაში და ისიც ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად, ბენზინის გარდა.
		ჯამი	**41000**				
ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგური							
1	**"F" ჯგუფი (გ-6)**	1	4000	ნავთი	ნავთის უბნის NN 1, 3, 55, 56, 60 რეზერვუარების დემონტაჟი 2022-2023 წლებში	ნათელი ნავთობპროდუქტები	№1, 55, 56, 58, 60 რეზერვუარები გზშ-ის მიხედვით ეს რეზერვუარები ნავთის შენახვისთვის იყო განკუთვნილი. დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტების შენახვა
2		55	4500	ნავთი			
3		56	3000	ნავთი			
4		58	3000	ნავთი			
5		60	3000	ნავთი			
6	**"E" ჯგუფი (გ-5)**	161	5000	ბენზინები	5ცალი 12 000 მ3მოცულობის რეზერვუარების მშენებლობა ძირითად ტერიტორიაზე დემონტირებული№ 160;161;162;163;164 რეზერვუარების ნაცვლად 2029 – 2030 წ.წ.	ნათელი ნავთობპროდუქტები	გზშ-ის მიხედვით ეს რეზერვუარები ბენზინისთვის შენახვისთვის იყო განკუთვნილი. დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტების შენახვა
7		162	5000	ბენზინები			
8		163	5000	ბენზინები			
9		164	5000	ბენზინები			
10	**"ახალი G" ჯგუფი**	255	5000	ბენზინები	არ ითვალისწინებს		
11		256	5000	ბენზინები	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთობპროდუქტები	„ახალი G" ჯგუფი -№255, 256, 257, 258, 259 რეზერვუარები (ახალი) გზშ-ით გათვალისწინებული იყო ბენზინის საწვავის შენახვა. მათი გამოყენება დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტებისთვის.
12		257	5000	ბენზინები	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთობპროდუქტები	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
13		258	5000	ბენზინები	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთოპროდუქტები	
14		259	5000	ბენზინები	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთობპროდუქტები	
15		240	200	-	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთობპროდუქტები	№240 და №241 რეზერვუარები გამოყენება დაგეგმილი ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად. ამასთან, ორივე რეზერვუარი აღჭურვილია დამცავი სარქველით.
16		241	200	-	არ ითვალისწინებს	ნათელი ნავთობპროდუქტები	
		ჯამი	**62900**				
მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქრო							
1	**"I" ჯგუფი (გ-12)**	71	5000	მაზუთი	დემონტაჟი 2026-2027 წლებში	ტექნიკური წყალი ან ნავთობი/მაზუთი	„I“ ჯგუფის (გ-12) რეზერვუარები -№71, №80, №90 და №92 -გზშ-ის მიხედვით გამოიყენებოდა ძირითადად მაზუთისა და, ცალკეულ შემთხვევაში, შლამის შესანახად. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით აღნიშნული რეზერვუარების დემონტაჟი გათვალისწინებული იყო: №71, №90 და №92 რეზერვუარებისთვის -2026–2027 წლებში, ხოლო №80 რეზერვუარისთვის -2027–2028 წლებში. ცვლილების თანახმად, №71 რეზერვუარი, საჭიროების შემთხვევაში და გარემონტების შემდეგ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის ან ნავთობის/მაზუთის შესანახად. №80 რეზერვუარი გამოყენებულ იქნება ვაკუუმ-გაზოილის, მაზუთის ან ნავთობისთვის; ამასთან, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ რეზერვუართან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი და შეცდომით იყო მითითებული შლამი. №90 და №92 რეზერვუარების გამოყენება დაგეგმილია
2		80	4500	შლამი	დემონტაჟი 2027-2028 წლებში	ვაკუუმგაზოილი/მაზუთი/ნავთობი	
3		90	5000	მაზუთი	დემონტაჟი 2026-2027 წლებში	მაზუთი/ნავთობი/ვაკუუმგაზოილი	
4		92	4000	მაზუთი	დემონტაჟი 2026-2027 წლებში	მაზუთი/ნავთობი/ვაკუუმგაზოილი	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
							მაზუთის, ნავთობის ან ვაკუუმ-გაზოილისთვის.
5	"L" ჯგუფი (გ-14)	165	5000	მაზუთი ან ვაკუუმგაზოილი	არ ითვალისწინებს	მაზუთი ან ვაკუუმგაზოილი	„L“ ჯგუფის (გ-14) რეზერვუარები -№165, №166, №167, №168, №169, №170 და №171 - გზშ-ის მიხედვით გათვალისწინებული იყო მაზუთის ან ვაკუუმ-გაზოილის შესანახად. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამა აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებით ცვლილებებს არ ითვალისწინებდა. ცვლილების მიხედვით, მათი ფუნქციური დანიშნულება არსებითად უცვლელი რჩება და რეზერვუარები კვლავ გამოყენებული იქნება მაზუთის ან ვაკუუმ-გაზოილის შესანახად.
6		166	5000		არ ითვალისწინებს		
7		167	5000		არ ითვალისწინებს		
8		168	5000		არ ითვალისწინებს		
9		169	5000		არ ითვალისწინებს		
10		170	5000		არ ითვალისწინებს		
11		171	5000		არ ითვალისწინებს		
12	"M" ჯგუფი (გ-15)	224	5000	224,225, 226, 227, 228, 229, 230, 231 მაზუთის, ვაკუმ-გაზოილის და ნედლი ნავთობის შესანახად. 236-237-238 დიზელი	არ ითვალისწინებს	როგორც მუქი, ისე ნათელი ნავთობპროდუქტების და ნედლი ნავთობისთვისაც	„M“ ჯგუფის (გ-15) რეზერვუარები №224, №225, №226, №227, №228, №229, №230, №231, ასევე №236, №237 და №238 გზშ-ის მიხედვით განკუთვნილი იყო მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილისა და ნედლი ნავთობის, ხოლო №236–238 რეზერვუარები -დიზელის საწვავის შესანახად. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამა ამ ჯგუფის რეზერვუარებთან დაკავშირებით ცალკე ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა. ცვლილების თანახმად, 2021 წლიდან №224, №225, №226, №227, №228, №229, №230 და №231 რეზერვუარები აღიჭურვა დიზელის საწვავის, ნავთისა და ბენზინის მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისთვის
13		225	5000				
14		226	5000				
15		227	5000				
16		228	5000				
17		229	5000				
18		230	5000				
19		231	5000				
20		236	10000				

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
21		237	10000				საჭირო ტექნოლოგიური კომუნიკაციებით, რის შედეგადაც მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც მუქი, ისე ნათელი ნავთობპროდუქტებისთვის, ასევე ნედლი ნავთობისთვის, მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობისთვის. ამასთან, 2022 წლიდან №236, №237 და №238 რეზერვუარები ფუნქციურად დაბრუნდა მუქი ნავთობპროდუქტების საამქროს სისტემაში, ვინაიდან მათი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა თავსებადია როგორც ნათელი და მუქი ნავთობპროდუქტების, ისე ნედლი ნავთობის მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებთან. მათი გამოყენება განხორციელდება მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.
22		238	10000				
23	**"P" ჯგუფი (გ-17)**	112	5000	ნავთობი	მუქი ნავთობპროდუქტების საამქროს №112;113;114;116 რეზერვუარების დემონტაჟი 2027 – 2028 წ.წ.	როგორც მუქი ნავთობპროდუქტები, ასევე ნედლი ნავთობი	„P“ ჯგუფის (გ-17) ბუფერული რეზერვუარები -№112, №113, №114 და №116 -გზშ-ის მიხედვით გამოიყენებოდა ნავთობისთვის, ხოლო №116 რეზერვუარი - დაჭერილი ნავთობპროდუქტისთვის. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით აღნიშნული რეზერვუარების დემონტაჟი გათვალისწინებული იყო 2027–2028 წლებში. თუმცა, ცვლილების მიხედვით, ფაქტობრივი ტვირთბრუნვის შემცირების,
24		113	5000	ნავთობი			
25		114	5000	ნავთობი			

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
26		116	5000	დაჭერილი ნავთობპრ.		ნედლი ნავთობი	არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის გადაფასებისა და ინდივიდუალური ტექნიკური ინსპექტირების შედეგების საფუძველზე, მათი დემონტაჟი მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილი აღარ არის. აღნიშნული რეზერვუარების შემდგომი ექსპლუატაცია და ფუნქციური გამოყენება დამოკიდებული იქნება მათი ტექნიკური ვარგისიანობის დადასტურებასა და შესაბამის გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ცვლილების თანახმად, №112, №113 და №114 რეზერვუარები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მუქი ნავთობპროდუქტებისთვის, ისე ნედლი ნავთობისთვის, ხოლო №116 რეზერვუარი -ნედლი ნავთობისთვის.
27	**"N" ჯგუფი (გ-16)**	74	5000	ნავთობი	დემონტაჟი 2027–2028 წლებში	როგორც მუქი ნავთობპროდუქტები, ასევე ნედლი ნავთობი	„N“ ჯგუფის (გ-16) რეზერვუარები -№74, №75, №76, №77, №78 და №79 -გზშ-ის მიხედვით გამოიყენებოდა ძირითადად ნავთობისთვის, ხოლო №78 რეზერვუარი - ნავთობის ან მაზუთისთვის. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით ამ ჯგუფის რეზერვუარების დემონტაჟი გათვალისწინებული იყო 2027–2028 წლებში. ამავე პროგრამით ასევე დაგეგმილი იყო NN 74–80 რეზერვუარების პარკის გაწმენდა და რეაბილიტაცია. ცვლილების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფის რეზერვუარები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც მუქი ნავთობპროდუქტებისთვის, ისე ნედლი ნავთობისთვის.
28		75	5000	ნავთობი	დემონტაჟი 2027–2028 წლებში		
29		76	5000	ნავთობი	დემონტაჟი 2027–2028 წლებში		
30		77	5000	ნავთობი	დემონტაჟი 2027–2028 წლებში		
31		78	3000	ნავთობი ან მაზუთი	დემონტაჟი 2027–2028 წლებში		
32		79	4500		დემონტაჟი 2027–2028 წლებში		
33	**"K" ჯგუფი (გ-13)**	250	20000	მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი და ნედლი ნავთობი	არ ითვალისწინებს	№№ 250, 251 რეზერვუარები შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნას	„K“ ჯგუფის (გ-13) რეზერვუარები -№250 და №251 -გზშ-ის მიხედვით გათვალისწინებული იყო მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილისა და ნედლი ნავთობის შესანახად. 2020–2030 წლების

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
						ნედლი ნავთობისთვისაც (მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობი)	გარემოსდაცვითი პროგრამა აღნიშნულ რეზერვუარებთან დაკავშირებით კონკრეტულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა. ცვლილების თანახმად, №250 და №251 რეზერვუარები შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვისაც, მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობისთვის.
34		251	20000	მაზუთი, ვაკუუმ-გაზოილი და ნედლი ნავთობი	არ ითვალისწინებს	№№ 250, 251 რეზერვუარები შესაძლებელია დამატებით გამოყენებულ იქნას ნედლი ნავთობისთვისაც (მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობი)	
		ჯამი	**211000**				
ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური "ხოლოდნაია სლობოდა"							
2	**II ჯგუფი (გ-30)**	144	7500	ჩვეულებრივი ნავთობი	საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ნედლი ნავთობი და გარემონტების შემთხვევაში ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვისაც	საჭიროების, ასევე შესაბამისად გარემონტებისა და აღჭურვის შემთხვევაში ხოლოდნაია სლობოდას დანარჩენი რეზერვუარებიც (N144, 145, 146, 147, 148, 149) გადაეცემა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს. ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია მომზადებულია მათი შესაძლო ფუნქციური გამოყენებების გათვალისწინებით. შესაბამისად, მათი

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
3		145	7500		საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ნედლი ნავთობი და გარემონტების შემთხვევაში ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვისაც	კონკრეტული ფუნქციური გამოყენება განისაზღვრება საწარმოო საჭიროებისა და მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.
4		146	7500		საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ჩვ. ნავთობი	
5		147	7500		საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ჩვ. ნავთობი	
6		148	7500		საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ნედლი ნავთობი და გარემონტების შემთხვევაში ნათელი ნავთოპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისათვისაც	
7		149	7500		საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი	ჩვ. ნავთობი	
8		156	7500		არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	
		ჯამი	**52500**				
ნედლი ნავთობის შენახვის და დატვირთვის სადგური "კაპრეშუმი"							
1	**I ჯგუფი (გ-33)**	201	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
2		202	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	გზშ-ის მიხედვით, „კაპრეშუმის“ უბნის რეზერვუარების უმეტესობა გათვალისწინებული იყო ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად. კერძოდ, I ჯგუფის (გ-33) რეზერვუარები -№201, №202 და №203, III ჯგუფის (გ-35) №207 რეზერვუარი, IV ჯგუფის (გ-36) რეზერვუარები -№210 და №212, ასევე V ჯგუფის (გ-37) რეზერვუარები -№213, №215 და №216 -განსაზღვრული იყო ჩვეულებრივი ნავთობისთვის. ამავე დროს, II ჯგუფის (გ-34) რეზერვუარები -№204, №205, №208, №211, №214, №217 და №218 - გათვალისწინებული იყო მერკაპტანიანი ნავთობისთვის. ცვლილების თანახმად, „კაპრეშუმის“ უბანზე №203, №210 და №213 რეზერვუარებში საჭიროების შემთხვევაში მოხდება მერკაპტანიანი ნავთობის შენახვაც. შესაბამისად, ცვლილება არ უკავშირდება ახალი სარეზერვუარო პარკების მოწყობას, არამედ არსებულ ინფრასტრუქტურაში ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაფართოებას.
3		203	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი/ნედლი ნავთობი, მათ შორის მერკაპტანებიანი	
4	**II ჯგუფი (გ-34)**	204	10000	მერკაპტანებიანი	არ არის გათვალისწინებული	ნედლი ნავთობი, მათ შორის მერკაპტანებიანი	
5		205	10000		არ არის გათვალისწინებული		
6		208	10000		არ არის გათვალისწინებული		
7		211	10000		არ არის გათვალისწინებული		
8		214	10000		არ არის გათვალისწინებული		
9		217	10000		არ არის გათვალისწინებული		
10		218	10000		არ არის გათვალისწინებული		
11	**III ჯგუფი (გ-35)**	207	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	
12	**IV ჯგუფი (გ-36)**	210	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი/ნედლი ნავთობი, მათ შორის მერკაპტანებიანი	
13		212	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	
14	**V ჯგუფი (გ-37)**	213	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი/ნედლი ნავთობი, მათ შორის მერკაპტანებიანი	
15		215	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	
16		216	10000	ჩვ. ნავთობი	არ არის გათვალისწინებული	ჩვ. ნავთობი	
		ჯამი	**160000**				

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო							
1	**I ჯგუფი (გ-56)**	1	1000	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	არსებული მდგომარეობით, საამქროში აღირიცხება 21 რეზერვუარი, ხოლო მათი ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენს 53 400 მ³-ს. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ საამქროს დაემატა №140, №141, №142 და №143 რეზერვუარები, რომლებიც გადმოცემულია სხვა უბნიდან და გამოიყენება შესაბამისი ოპერაციებისათვის. ამასთან, №15 რეზერვუარი გამოიყენება ნავთობპროდუქტებით შემცველი წყლის მისაღებად. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ რეზერვუართან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა მისი გამოყენება რეალურად მუდმივად ხდებოდა სწორედ აღნიშნული ფუნქციური დანიშნულებით. გზშ-ის მიხედვით, „I“ ჯგუფის (გ-56) რეზერვუარები -№1–14 და №34 - განკუთვნილი იყო დიზელის საწვავის შესანახად, ხოლო „II“ ჯგუფის (გ-57) რეზერვუარები -№150 და №151 -ბენზინის შესანახად. ცვლილების თანახმად, აღნიშნული რეზერვუარები გამოყენებული იქნება ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის, ნავთის გარდა. შესაბამისად, მათი ფუნქციური გამოყენება ფართოვდება და აღარ არის მკაცრად შეზღუდული მხოლოდ დიზელის ან ბენზინის ოპერირებით. საამქროს ასევე დაემატა „I“ ჯგუფის (გ-29)
2		2	1000	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
3		3	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
4		4	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
5		5	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
6		6	1000	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
7		7	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
8		8	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
9		9	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
10		10	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
11		11	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
12		12	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	რეზერვუარები -№140, №141, №142 და №143. მათგან №141–143 რეზერვუარები გზშ-ის მიხედვით განკუთვნილი იყო დიზელის საწვავისთვის, ხოლო №140 რეზერვუარი -ჩვეულებრივი ნავთობისთვის. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით №141–143 რეზერვუარების პარკისთვის გათვალისწინებული იყო გაწმენდა და რეაბილიტაცია, ხოლო №140 რეზერვუარისთვის -კაპიტალური რემონტი, მათ შორის ნავთობის დონის კონტროლის დანადგარის მონტაჟი და შეღებვა. ცვლილების თანახმად, №140, №141, №142 და №143 რეზერვუარები გამოიყენება ნედლი ნავთობისა და ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებისთვის. ამასთან, №140 რეზერვუარი გარემონტდა და შიდა ბრძანების საფუძველზე გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისთვის.
13		13	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
14		14	400	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთოპროდუქტები ნავთის გარდა	
15		34	1000	დიზელი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
16	**II ჯგუფი (გ-57)**	150	7500	ბენზინი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
17		151	7500	ბენზინი	არ არის გათვალისწინებული	ნათელი ნავთობპროდუქტები ნავთის გარდა	
18		141	7500	დიზელი	NN 141-143 რეზერვუარის პარკის გაწმენდა და რეაბილიტაცია	ნედლი ნავთობი/ ნათელი ნავთობპროდუქტები	
19	**I ჯგუფი (გ-29)**	142	7500	დიზელი		ნედლი ნავთობი/ ნათელი ნავთობპროდუქტები	
20		143	7500	დიზელი		ნედლი ნავთობი/ ნათელი ნავთობპროდუქტები	
1	**I ჯგუფი (გ-29)**	140	7500	ჩვ. ნავთობი	ხოლოდნაია სლობოდას N140 რეზერვუარის კაპიტალური რემონტი, მათ შორის, ნავთობის დონის კონტროლის	ნედლი ნავთობი/ ნათელი ნავთობპროდუქტები	

№	ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევის სტაციონარული წყაროს №	რეზერვუარის №	რეზერვ. ნომინ. მოცულობა, მ3	გზშ-ის მიხედვით	პროგრამის მიხედვით დემონტაჟის ვალდებულება	დაგეგმილი ცვლილება	განმარტება
					დანადგარის მონტაჟი, შეღებვა		
		ჯამი	**45900**				

ცვლილებების მიმოხილვა

დიზელის საწვავისა და ნავთის მიღება-გადატვირთვის სადგურის რეზერვუარები



დიზელის საწვავისა და ნავთის მიღება-გადატვირთვის სადგურის ფარგლებში განთავსებული „A“ ჯგუფის (გ-1) რეზერვუარები - №2, 5, 7, 8, 9, 15, 16, 21 და 22 - გათვალისწინებული იყო **ნავთის** შესანახად, ხოლო „B“ ჯგუფის (გ-2) რეზერვუარები - №27, 31 და 32, ასევე „D“ ჯგუფის (გ-4) №34 რეზერვუარი - **დიზელის საწვავის** შესანახად.


2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამის მიხედვით, აღნიშნული რეზერვუარების მიმართ დაგეგმილი იყო ეტაპობრივი დემონტაჟი. კერძოდ, №2, 5, 7, 8, 9, 15, 16, 21, 22, 27, 31 და 32 რეზერვუარების დემონტაჟი განსაზღვრული იყო 2024–2025 წლებში, ხოლო №34 რეზერვუარის დემონტაჟი - 2026 წელს.

წინამდებარე ცვლილების მიხედვით, ტერმინალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დემონტაჟი აღარ განხორციელდეს. ამის ნაცვლად, აღნიშნული რეზერვუარები შენარჩუნდება ექსპლუატაციაში და გამოყენებული იქნება ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად, ბენზინის გარდა. ამგვარად, თუ თავდაპირველი გზშ-ით მათი ფუნქციური დანიშნულება ძირითადად ნავთისა და დიზელის საწვავის შენახვით შემოიფარგლებოდა, ცვლილება ითვალისწინებს მათ უფრო ფართო გამოყენებას ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის.

ამასთან, ცვლილებით განისაზღვრა, რომ დემონტაჟი განხორციელდება მხოლოდ კონკრეტული რეზერვუარის ინდივიდუალური ტექნიკური წუნდების დადასტურების საფუძველზე. გამონაკლისს წარმოადგენს №15 რეზერვუარი, რომელიც დროებით გამოყვანილია ექსპლუატაციიდან; მისი შემდგომი გამოყენება შესაძლებელი იქნება რემონტის ჩატარების შემთხვევაში და ისიც ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის, ბენზინის გარდა.

შესაბამისად, მოცემული ცვლილება გულისხმობს არა სარეზერვუარო პარკის შემცირებას დემონტაჟის გზით, არამედ არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და ფუნქციური პროფილის გაფართოებას, მოქმედი ტექნიკური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. დიზელის საწვავისა და ნავთის მიღება-გადატვირთვის სადგურის რეზერვუარები, რომელთაც შეეცვლათ ფუნქციური დანიშნულება, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ილუსტრაციაზე.

ილუსტრაცია 0.1. დიზელის საწვავისა და ნავთის მიღება-გადატვირთვის სადგურის რეზერვუარები, რომელთაც შეეცვლათ ფუნქციური დანიშნულება



ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის რეზერვუარები



ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის ფარგლებში გზშ-ის ანგარიშით რეზერვუარები თავდაპირველად ფუნქციურად იყო დაყოფილი ნავთისა და ბენზინების შესანახად. კერძოდ, **„F“ ჯგუფის (გ-6)** №1, 55, 56, 58 და 60 რეზერვუარები გათვალისწინებული იყო **ნავთის შესანახად**, ხოლო **„E“ ჯგუფის (გ-5)** №161, 162, 163 და 164 რეზერვუარები, ასევე **„ახალი G“ ჯგუფის** №255, 256, 257, 258 და 259 რეზერვუარები - **ბენზინების შესანახად**. ამავე სადგურზე არსებული №240 და №241 მცირე მოცულობის რეზერვუარების გამოყენება გზშ-ით პირდაპირ განსაზღვრული არ ყოფილა

2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით ამ სადგურის რეზერვუარებთან მიმართებით გათვალისწინებული იყო რამდენიმე ღონისძიება. კერძოდ, **ნავთის უბნის №1, 3, 55, 56 და 60 რეზერვუარების დემონტაჟი** უნდა განხორციელებულიყო **2022–2023 წლებში**; ასევე, **№161–164 რეზერვუარების ნაცვლად** ძირითად ტერიტორიაზე **2029–2030 წლებში** დაგეგმილი იყო **5 ერთეული 12 000 მ³ მოცულობის ახალი რეზერვუარის მშენებლობა**. ამავე პროგრამაში **№240 და №241 რეზერვუარები გათვალისწინებული არ იყო**.


ცვლილების თანახმად, აღნიშნული სადგურის რეზერვუარების გამოყენება ფართოვდება და მათი ექსპლუატაცია იგეგმება ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად. კერძოდ, „F“ ჯგუფის №1, 55, 56, 58 და 60 რეზერვუარები, რომლებიც გზშ-ის მიხედვით ნავთისთვის იყო განსაზღვრული, შემდგომში გამოყენებული იქნება ნათელი ნავთობპროდუქტებისთვის. ანალოგიურად, „E“ ჯგუფის №161, 162,

163 და 164 რეზერვუარები და „ახალი G“ ჯგუფის №255–259 რეზერვუარები, რომლებიც თავდაპირველად ბენზინების შესანახად იყო გათვალისწინებული, ცვლილებით ასევე გადადის ნათელი ნავთობპროდუქტების უფრო ფართო გამოყენების რეჟიმში.

რაც შეეხება №240 და №241 რეზერვუარებს, მათი გამოყენება ცვლილებით დაგეგმილია ნათელი ნავთობპროდუქტების შესანახად, თუმცა მიმდინარე ეტაპზე ისინი გამოიყენება უბნის ბენზინის რეზერვუარებიდან ნარჩენი პროდუქტის გამორეცხვისა და შემდგომ წყლისგან განცალკევების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტის - ბენზინის - შესანახად. ორივე რეზერვუარი აღჭურვილია დამცავი სარქველით, რაც მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

შესაბამისად, მოცემული ცვლილება გულისხმობს ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის არსებული ინფრასტრუქტურის **ფუნქციური პროფილის გადახედვას და გაფართოებას**. თუ გზშ-ის ფარგლებში რეზერვუარები იყო დაკავშირებული კონკრეტული პროდუქტების - ნავთისა და ბენზინის - შესანახად, ცვლილების შედეგად მათი გამოყენება შესაძლებელი ხდება **ნათელი ნავთობპროდუქტების უფრო ფართო სპექტრისთვის**. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწილობრივი დემონტაჟისა და ჩანაცვლების მიდგომა ფაქტობრივად იცვლება არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და მისი ფუნქციური გადანაწილების მიმართულებით.

ილუსტრაცია 0.2. ნავთის და საავტომობილო ბენზინის მიღებისა და გადატვირთვის სადგურის რეზერვუარები, რომელთაც შეეცვალათ ფუნქციური დანიშნულება



მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს რეზერვუარები



მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს ფარგლებში გზშ-ის ანგარიშით რეზერვუარები ძირითადად განკუთვნილი იყო მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილის, ნედლი ნავთობის, ნავთობშლამებისა და, ცალკეულ შემთხვევებში, დიზელის საწვავის შესანახად. კერძოდ, №224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 250 და 251 რეზერვუარები გათვალისწინებული იყო მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილისა და ნედლი ნავთობისთვის, ხოლო №236, 237 და 238 რეზერვუარები - დიზელის საწვავისთვის. ამავე საამქროს სისტემაში შედიოდა ასევე „N“ ჯგუფის (გ-16) №74, 75, 76, 77, 78 და 79 რეზერვუარები.

2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს ფარგლებში რეზერვუარების რაოდენობა სხვადასხვა ცხრილში განსხვავებულად არის ასახული. კერძოდ, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საამქროში რეზერვუარების რაოდენობა შეადგენდა 34 ერთეულს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ასევე „P“ ჯგუფის ბუფერული რეზერვუარები - №112, №113, №114 და №116, რეზერვუარების საერთო რაოდენობა შეადგენდა 36 ერთეულს. არსებული მდგომარეობით, საამქროში აღირიცხება 34 რეზერვუარი, ხოლო მათი ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენს 211 000 მ³-ს.

ამასთან, №84 რეზერვუარი ამჟამად გამოიყენება ტექნიკური წყლისთვის, ხოლო №106 რეზერვუარი - ნავთობდამჭერიდან ნავთობშემცველი წყლის მისაღებად. აღნიშნული ფუნქციური დანიშნულება გათვალისწინებული იყო 2021 წლის გზშ-ის ანგარიშითაც.

საჭიროების შემთხვევაში, №71 რეზერვუარი შესაძლებელია გარემონტდეს და გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის, ნაცვლად №84 რეზერვუარისა. ასეთ შემთხვევაში №84 რეზერვუარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნავთობდაჭერის სისტემიდან ნავთობშემცველი წყლის მისაღებად, ნაცვლად №106 რეზერვუარისა, ხოლო №106 რეზერვუარი, გარემონტების შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მაზუთის შესანახად.

ცვლილებით ასევე ზუსტდება ცალკეული რეზერვუარების ფუნქციური დანიშნულება. №74 რეზერვუარი გამოყენებულ იქნება ნავთობისა და მაზუთის შესანახად. №80 რეზერვუარი გამოყენებულ იქნება მაზუთის ან ვაკუუმ-გაზოილის შესანახად; ამასთან, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ რეზერვუართან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი და შეცდომით იყო მითითებული შლამები. №88 რეზერვუარში განთავსებულია ნავთობშლამები.

ამავე დროს, საამქროში არსებული ნებისმიერი რეზერვუარი, შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ასევე ნედლი ნავთობის შესანახად. გარდა ამისა, №224, №225, №226, №227, №228, №229, №230, №231, №250 და №251 რეზერვუარები, რომლებიც გზშ-ის მიხედვით გათვალისწინებული იყო მაზუთის, ვაკუუმ-გაზოილისა და ნედლი ნავთობის შესანახად, 2021 წლიდან აღიჭურვა დიზელის, ნავთისა და ბენზინის მიღება/შენახვა/გაცემისთვის საჭირო ტექნოლოგიური კომუნიკაციებით. შედეგად, მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც მუქი, ისე ნათელი ნავთობპროდუქტებისთვის, ასევე ნედლი ნავთობისთვის, მათ შორის მერკაპტანიანი და ე.წ. „თენგიზის“ ნავთობისთვის.


ასევე, №236, №237 და №238 რეზერვუარები, რომლებიც გზშ-ის მიხედვით დიზელის საწვავის შესანახად იყო განსაზღვრული, 2022 წლიდან ფუნქციურად დაბრუნდა მუქი ნავთობპროდუქტების საამქროს სისტემაში. მათი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა თავსებადია როგორც ნათელი და მუქი ნავთობპროდუქტების, ისე ნედლი ნავთობის მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებთან, ხოლო ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია მომზადებულია მათი შესაძლო გამოყენებების გათვალისწინებით.

2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს ნაწილში გათვალისწინებული იყო რიგი ღონისძიებები, მათ შორის NN 74–80 რეზერვუარების პარკის გაწმენდა და რეაბილიტაცია, ასევე ცალკეული რეზერვუარების დემონტაჟი და შემდგომ მათი ჩანაცვლება ახალი რეზერვუარებით. კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული იყო №74, 75, 76, 77, 78, 79 და 80 რეზერვუარების დემონტაჟი 2027–2028 წლებში, ასევე №112, 113, 114 და 116 რეზერვუარების დემონტაჟი 2027–2028 წლებში. ამავე საამქროს ნაწილში პროგრამა ასევე ითვალისწინებდა №71, 90 და 92 რეზერვუარების დემონტაჟს 2026–2027 წლებში. გარდა ამისა, დემონტირებული რეზერვუარების სანაცვლოდ გათვალისწინებული იყო ახალი რეზერვუარების მშენებლობა.

„N“ ჯგუფის №74–79 რეზერვუარებთან მიმართებით პროგრამა ითვალისწინებდა მათთვის გაწმენდა/რეაბილიტაციას და შემდგომ დემონტაჟს. ამასთან, ცვლილების პირობებში რეზერვუარების გამოყენება განისაზღვრება მათი ფაქტობრივი ტექნიკური მდგომარეობის, ტექნოლოგიური თავსებადობისა და საწარმოო საჭიროებების გათვალისწინებით.

შესაბამისად, მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროში ცვლილების არსი მდგომარეობს არა ახალი სარეზერვუარო პარკების ფორმირებაში, არამედ არსებული რეზერვუარების ფუნქციური მოქნილობის მნიშვნელოვან ზრდაში. თუ გზშ-ის ფარგლებში ისინი ძირითადად მიბმული იყო მუქ ნავთობპროდუქტებსა და ნედლ ნავთობზე, ცვლილების შედეგად შესაძლებელია მათი გამოყენება სხვადასხვა ტიპის ნავთობისა და ნათელი ნავთობპროდუქტებისთვისაც, ხოლო პროგრამით ადრე დაგეგმილი დემონტაჟების ნაწილი პრაქტიკულად გადახედვას ექვემდებარება ან დამოკიდებულია კონკრეტული რეზერვუარის ტექნიკურ ვარგისიანობაზე. წარმოდგენილი ცვლილება ემსახურება მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს ინფრასტრუქტურის ფუნქციური დანიშნულების დაზუსტებასა და ოპერაციული მოქნილობის ზრდას. რეზერვუარების გამოყენება განხორციელდება მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

ილუსტრაცია 0.3. მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს რეზერვუარები, რომელთაც შეეცვალათ ფუნქციური დანიშნულება



ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა“-ს რეზერვუარები

ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა“ გზშ-ის ანგარიშით განკუთვნილი იყო ნედლი ნავთობის მიღების, შენახვისა და დატვირთვის ოპერაციებისთვის. აღნიშნული უბნის რეზერვუარები წარმოადგენდა ნედლი ნავთობის ოპერირების ერთ-ერთ ძირითად ინფრასტრუქტურულ ელემენტს.

2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) „ხოლოდნაია სლობოდას“ უბანზე გათვალისწინებული იყო 11 რეზერვუარი, რომელთა ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენდა 82 500 მ³-ს. არსებული მდგომარეობით, უბანზე ფუნქციონირებს 7 რეზერვუარი, ხოლო მათი ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენს 52 500 მ³-ს. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ №140, №141, №142 და №143 რეზერვუარები გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს და გამოიყენება ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებისთვის.

2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით „ხოლოდნაია სლობოდას“ უბანზე გათვალისწინებული იყო როგორც რეზერვუარების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, ასევე ძველი და ამორტიზირებული რეზერვუარების ეტაპობრივი ჩანაცვლების ზოგადი პრინციპი. კერძოდ, პროგრამით განსაზღვრული იყო №140 რეზერვუარის კაპიტალური რემონტი, მათ შორის ნავთობის დონის კონტროლის დანადგარის მონტაჟი და შეღებვა. ასევე, „II“ ჯგუფის (გ-30) რეზერვუარებისთვის -№144, №145, №146, №147, №148, №149 და №156 -გათვალისწინებული იყო შესაბამისი სარეაბილიტაციო და სარემონტო ღონისძიებები, მათ შორის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მოწყობილობებით აღჭურვა.

„II“ ჯგუფის (გ-30) რეზერვუარები - №144, №145, №146, №147, №148, №149 და №156 გზშ-ის მიხედვით განკუთვნილი იყო ძირითადად ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად. ცვლილების თანახმად, აღნიშნული რეზერვუარები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვის, ხოლო საჭიროების, ასევე შესაბამისი რემონტისა და აღჭურვის შემთხვევაში - ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებისთვისაც. ამასთან, საჭიროების


შემთხვევაში „ხოლოდნაია სლობოდას“ უბნის დანარჩენი რეზერვუარები - - №144, №145, №146, №147, №148 და №149 - შეიძლება გადაეცეს იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს. ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია მომზადებულია მათი შესაძლო ფუნქციური გამოყენებების გათვალისწინებით. შესაბამისად, თითოეული რეზერვუარის კონკრეტული ფუნქციური გამოყენება განისაზღვრება საწარმოო საჭიროების, ასევე მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

ამავე პროგრამით ტერმინალისთვის ზოგადად განსაზღვრული იყო მოძველებული და ამორტიზირებული რეზერვუარების ტექნიკური ინსპექტირება, მათი მდგომარეობის შეფასების საფუძველზე კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დაგეგმვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - დემონტაჟი და ახალი რეზერვუარებით ჩანაცვლება. პროგრამა ასევე ითვალისწინებდა, რომ ახალი რეზერვუარების და რეზერვუარების პარკების მშენებლობა, ისევე როგორც არსებული რეზერვუარების კაპიტალური რემონტი, უნდა განხორციელდეს შესაბამისი საპროექტო და გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის საფუძველზე.


გარდა ამისა, „ხოლოდნაია სლობოდას“ უბანთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პროგრამა ითვალისწინებდა ნავთობდამჭერის სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას და გაწმენდილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლის გაძლიერებას. ამდენად, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავდა როგორც უშუალოდ სარეზერვუარო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ რეაბილიტაციას, ასევე გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას.

შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებები „ხოლოდნაია სლობოდას“ უბანზე უკავშირდება, ერთი მხრივ, რეზერვუარების ნაწილის ფუნქციურ გადანაწილებას იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროზე, ხოლო მეორე მხრივ - დარჩენილი ინფრასტრუქტურის ტექნიკურ რეაბილიტაციასა და შემდგომ ოპერაციულ გამოყენებას მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

ილუსტრაცია 0.4. ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა“-ს რეზერვუარები, რომელთაც შეეცვალათ ფუნქციური დანიშნულება



ილუსტრაცია 0.5. ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგური „ხოლოდნაია სლობოდა“-ს რეზერვუარები, რომელთაც ჩაუტარდათ რემონტი



ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგურ „კაპრეშუმი“-ს რეზერვუარები




ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგური „კაპრეშუმი“ გზშ-ის ანგარიშით განკუთვნილი იყო ნედლი ნავთობის მიღების, შენახვისა და დატვირთვის ოპერაციებისთვის. 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) „კაპრეშუმის“ უბანზე გათვალისწინებული იყო 17 რეზერვუარი, რომელთა ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენდა 172 000 მ³-ს. არსებული მდგომარეობით, უბანზე დარჩენილია 16 რეზერვუარი, ხოლო მათი ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენს 160 000 მ³-ს. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ განხორციელდა „კაპრეშუმის“ უბნის №209 რეზერვუარის დემონტაჟი.

გზშ-ის მიხედვით, „კაპრეშუმის“ უბნის რეზერვუარების უმეტესობა გათვალისწინებული იყო ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად. კერძოდ, I ჯგუფის (გ-33) რეზერვუარები - №201, №202 და №203, III ჯგუფის (გ-35) №207 რეზერვუარი, IV ჯგუფის (გ-36) რეზერვუარები - №210 და №212, ასევე V ჯგუფის (გ-37) რეზერვუარები - №213, №215 და №216 - განსაზღვრული იყო ჩვეულებრივი ნავთობისთვის. ამავე დროს, II ჯგუფის (გ-34) რეზერვუარები - №204, №205, №208, №211, №214, №217 და №218 - გათვალისწინებული იყო მერკაპტანიანი ნავთობისთვის. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით №203, №210 და №213 რეზერვუარებში, მოხდება მერკაპტანიანი ნავთობის შენახვა,

შესაბამისად, ცვლილება არ უკავშირდება ახალი სარეზერვუარო პარკების მოწყობას, არამედ არსებულ ინფრასტრუქტურაში ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაფართოებას. აღნიშნულის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში განახლდება ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ხოლო რეზერვუარების კონკრეტული ფუნქციური გამოყენება განისაზღვრება საწარმოო საჭიროების, ასევე მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით „კაპრეშუმის“ უბანზე ცალკეული რეზერვუარების დემონტაჟი ან ფუნქციური გადანაწილება, გარდა არსებული ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით განხორციელებული ღონისძიებებისა, პირდაპირ არ იყო განსაზღვრული. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად უკავშირდება №209 რეზერვუარის დემონტაჟს და დარჩენილი რეზერვუარების ფუნქციური მოქნილობის ზრდას.

ილუსტრაცია 0.6. ნედლი ნავთობის შენახვისა და დატვირთვის სადგურის „კაპრეშუმი“-ს რეზერვუარები, რომელთაც შეეცვალათ ფუნქციური დანიშნულება



იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო



იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო გზშ-ის ანგარიშით განკუთვნილი იყო ძირითადად ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებისთვის. 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) საამქროში გათვალისწინებული იყო 18 რეზერვუარი, რომელთა ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენდა 23 400 მ³-ს. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემულ ცხრილებს შორის ფიქსირდება მონაცემთა შეუსაბამობა: ცხრილი 5.7.1-ის მიხედვით საამქროში ასახულია 18 რეზერვუარი, ხოლო ცხრილი 4.2.1-ის მიხედვით - 17 რეზერვუარი. აღნიშნული განსხვავება შეფასებულია როგორც ტექნიკური ხარვეზი.

არსებული მდგომარეობით, საამქროში აღირიცხება 21 რეზერვუარი, ხოლო მათი ჯამური ნომინალური მოცულობა შეადგენს 53 400 მ³-ს. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ საამქროს დაემატა №140, №141, №142 და №143 რეზერვუარები, რომლებიც გადმოცემულია სხვა უბნიდან და გამოიყენება შესაბამისი ოპერაციებისათვის. ამასთან, №15 რეზერვუარი გამოიყენება ნავთობპროდუქტებით შემცველი წყლის მისაღებად. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ რეზერვუართან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა მისი გამოყენება რეალურად მუდმივად ხდებოდა სწორედ აღნიშნული ფუნქციური დანიშნულებით.


გზშ-ის მიხედვით, „I“ ჯგუფის (გ-56) რეზერვუარები -№1–14 და №34 -განკუთვნილი იყო დიზელის საწვავის შესანახად, ხოლო „II“ ჯგუფის (გ-57) რეზერვუარები -№150 და №151 -ბენზინის შესანახად. ცვლილების თანახმად, აღნიშნული რეზერვუარები გამოყენებული იქნება ნათელი ნავთობპროდუქტებისათვის, ნავთის გარდა. შესაბამისად, მათი ფუნქციური გამოყენება ფართოვდება და აღარ არის მკაცრად შეზღუდული მხოლოდ დიზელის ან ბენზინის ოპერირებით.

საამქროს ასევე დაემატა „I“ ჯგუფის (გ-29) რეზერვუარები - №140, №141, №142 და №143. მათგან №141–143 რეზერვუარები გზშ-ის მიხედვით განკუთვნილი იყო დიზელის საწვავისთვის, ხოლო №140 რეზერვუარი - ჩვეულებრივი ნავთობისთვის. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამით №141–143 რეზერვუარების პარკისთვის გათვალისწინებული იყო გაწმენდა და რეაბილიტაცია, ხოლო №140 რეზერვუარისთვის - კაპიტალური რემონტი, მათ შორის ნავთობის დონის კონტროლის დანადგარის მონტაჟი და შეღებვა. ცვლილების თანახმად, №140, №141, №142 და №143 რეზერვუარები გამოიყენება ნედლი ნავთობისა და ნათელი ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და გაცემის ოპერაციებისთვის. ამასთან, №140 რეზერვუარი გარემონტდა და შიდა ბრძანების საფუძველზე გადაეცა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისთვის.

შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილება უკავშირდება იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს ინფრასტრუქტურის ფართო ფუნქციურ გადანაწილებასა და გაფართოებას. კერძოდ, საამქროს დაემატა ახალი რეზერვუარები, გაიზარდა როგორც რეზერვუარების რაოდენობა, ისე მათი ჯამური ნომინალური მოცულობა, ხოლო არსებული და დამატებული რეზერვუარების გამოყენება განისაზღვრება მოქმედი ტექნიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად.

ცვლილებები სქემატურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციაზე

ილუსტრაცია 0.7. იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს რეზერვუარები, რომელთაც შეეცვალა ფუნქციური დანიშნულება



ამასთან, №4 სარკინიგზო ესტაკადაზე 2024 წელს დამონტაჟდა ახალი აირგამწმენდი, სუნჩამხშობი სისტემა საკოლექტორო მილსადენებითა და გამწმენდი ფილტრ- დანადგარით, რომელიც უზრუნველყოფს ნედლი ნავთობის გადატვირთვა- ჩატვირთვის ოპერაციების დროს წარმოქმნილი მერკაპტანებისა და გოგირდწყალბადისაგან აირების გაწმენდას.

№5 სარკინიგზო ესტაკადაზე კომპანიას 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჰქონდა ახალი აირგამწმენდის დამონტაჟების ვალდებულება, თუმცა საკუთარი ინიციატივით, №4 სარკინიგზო ესტაკადაზეც 2024 წელს დაამონტაჟა ახალი აირგამწმენდი, სუნჩამხშობი სისტემა მილსადენებითა და გამწმენდი ფილტრ-დანადგარით, რომელიც უზრუნველყოფს ნედლი ნავთობის გადატვირთვა-ჩატვირთვის ოპერაციების დროს წარმოქმნილი მერკაპტანებისა და გოგირდწყალბადის აირების გაწმენდას.

აღსანიშნავია, რომ № 4 და № 5 სარკინიგზო ესტაკადები ყოველი ვაგონ- ცისტერნისთვის 2009-10 წლებიდანვე აღჭურვილი იყო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემაკავებელი „ჰერმეტიული ჩამოსხმის ხუფ/სარქველებით“, რომლებიც ფიზიკურად მოძველდა და არსებული მდგომარეობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობაში მოსაყვანად, 2024 წელს მოხდა მათი ჩანაცვლება მოდერნიზებული ჰერმეტიული ჩამოსხმის მოწყობილობებით, ამასთანავე დამატებით მოეწყო აირგამათანაბრებელი სისტემა სუნჩამხშობი დანადგარი.

გარდა აღნიშნულისა, №5 სარკინიგზო ესტაკადაზე ძველი ამორტიზებული ჰერმეტულად ჩასხმის ხუფები შეიცვალა ახალი ზედა ჰერმეტული ჩასხმის მოწყობილობებით, რომელიც თავის მხრივ ახალი აირგამათანაბრებელი სისტემის მილსადენებით დაუერთდა ახლადმოწყობილ სუნჩამხშობ დანადგარს და ასევე დაუერთდა არსებულ სარეკუპერაციო დანადგარს. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორით: მე-5 ესტაკადაზე ნათელი ნავთობპროდუქტების ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარებისას აირგამათანაბრებელი სისტემა ნახევრადავტომატურ რეჟიმში გადაერთვება სარეკუპერაციო დანადგარზე, ხოლო ნედლი ნავთობის შემთხვევაში სუნჩამხშობ

სისტემაზე.


სარკინიგზო ესტაკადა N4



სარკინიგზო ესტაკადა N5



ილუსტრაცია 0.8 N4 და N5 სარკინიგზო ესტაკადების განთავსების სიტუაციური სქემა



ბათუმის ნავთობტერმინალის ლაბორატორიების გაფრქვევის წყაროების ასახვა ზდგ-ში და დამატებითი გათბობის ქვაბების მოწყობა

2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით ბათუმის ნავთობტერმინალის ლაბორატორიები, როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ორგანიზებული სტაციონარული წყაროები, ცალკე დეტალურად ასახული არ იყო. 2020–2030 წლების გარემოსდაცვითი პროგრამა ამ მიმართულებით ცალკე ღონისძიებებს არ ითვალისწინებდა.

წინამდებარე ცვლილების ფარგლებში, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში ასახულია ტერმინალის 4 ლაბორატორია, რომლებიც წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ორგანიზებულ სტაციონარულ წყაროებს. კერძოდ, ძირითად ტერიტორიაზე განთავსებულია „გ-77" ჯგუფის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საგამოცდო ლაბორატორია (1

შენობა, გაფრქვევის წყაროები №48–51, 4 გამწოვი კარადის მილი), ასევე „გ-78" ჯგუფის დაკალიბრების ლაბორატორია (1 შენობა, გაფრქვევის წყარო №52, 1 გამწოვი კარადის მილი). სატვირთო ნავმისადგომების უბანზე განლაგებულია „გ-79" ჯგუფის ეკოლოგიური მონიტორინგის საგამოცდო ლაბორატორია (1 შენობა, გაფრქვევის წყაროები №53–54, 2 ინსინერატორი), ხოლო თხევადი გაზის უბანზე „გ-80" ჯგუფის გაზის ანალიზის საგამოცდო ლაბორატორია (1 შენობა, გაფრქვევის წყარო №55, 1 ინსინერატორი).

ოთხივე ლაბორატორია ფუნქციონირებს ერთნაირი სამუშაო რეჟიმით - 8 საათი დღეში, 2920 საათი წელიწადში. ჯამში აღირიცხება 8 გაფრქვევის წყარო (№48–55), საიდანაც 5 წარმოადგენს გამწოვი კარადების მილებს (გ-77 და გ-78), ხოლო 3 -ინსინერატორებს (გ-79 და გ-80). ოთხივე ლაბორატორიიდან გაფრქვევას წარმოადგენს ერთნაირი ქიმიური ნივთიერებები: ნატრიუმის ჰიდროქსიდი (NaOH), ქლორწყალბადი (HCl), გოგირდმჟავა (H_2SO_4) და ძმარმჟავა (CH_3COOH).

შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილება უზრუნველყოფს ტერმინალის ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის, როგორც ატმოსფერული ემისიის ორგანიზებული წყაროების, სრულ ასახვას ზდგ-ის ნორმების პროექტში, რაც განპირობებულია გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის სისრულისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაგეგმილია დამატებითი გათბობის ქვაბების მონტაჟი სათბობი და ცხელი წყლის მომარაგების მიზნით ტერმინალის ობიექტებში. 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (N2-239 ბრძანება) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით ტერმინალის ენერგომომარაგების და საქვაბე მეურნეობის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო ძირითადი საქვაბე №1, ადმინისტრაციული შენობების საქვაბე №2, სარემონტო-მექანიკური განყოფილების საქვაბე, №2 სარკინიგზო ესტაკადის ადმინისტრაციული შენობის საქვაბე და ავარიული ელექტრომომარაგების დიზელგენერატორები. ყველა საქვაბე საწვავად იყენებს ბუნებრივ აირს, ხოლო საქვაბე №1 იყენებს როგორც ბუნებრივ აირს, ასევე საჭიროების ან/და ავარიული შეწყვეტის შემთხვევაში მაზუთს. დამატებითი საქვაბე სისტემები ტერმინალის სხვა საწარმოო და ადმინისტრაციულ ობიექტებში ცალკე არ იყო ასახული. წინამდებარე ცვლილების ფარგლებში, გზშ-ით გათვალისწინებული საქვაბე მეურნეობის გარდა, ტერმინალის სხვადასხვა საწარმოო და ადმინისტრაციულ ობიექტში დაგეგმილია გათბობის მიზნით ქვაბების მონტაჟი.

კერძოდ, მეოთხე სარკინიგზო ესტაკადის საოპერატორო შენობაში ორი ქვაბი გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის, ხოლო სასადილოს შენობაში - ერთი ქვაბი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ცხელი წყლით მომარაგებისთვის, დიზელის უბნის საოპერატორო და შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის განყოფილების შენობა (ერთი ქვაბი), ნავთის უბნის საოპერატორო (ერთი ქვაბი), სატრანსპორტო უბნის საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები (ერთი ქვაბი), თხევადი აირის (გნა) უბნის საოპერატორო (ერთი ქვაბი) და თხევადი აირის (გნა) უბნის საოფისე შენობა (ერთი ქვაბი). ჯამში დაგეგმილია 8 ახალი ქვაბის დამონტაჟება.


აღნიშნული ქვაბები წარმოადგენს სტანდარტულ გასათბობ დანადგარებს, რომლებიც განკუთვნილია შენობების სეზონური გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის. წარმოდგენილი ცვლილება წარმოადგენს გზშ-ით უკვე გათვალისწინებული ენერგომომარაგების და საქვაბე მეურნეობის გაფართოებას ტერმინალის სხვა საწარმოო და ადმინისტრაციულ შენობებზე, რაც განპირობებულია სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და შენობების ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველყოფის საჭიროებით. დამატებითი ქვაბები ასახული იქნება ზდგ-ის ნორმების პროექტში, როგორც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები, რაც განპირობებულია გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის სისრულისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნებით.

ცხრილი 0.4. ძირითად ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები

სარეზერვუარო პარკი/რეზერვუარი	ღონისძიება	პროგრამის თანახმად დემონტაჟის/რემონტის საჭიროება
ძირითადი ტერიტორია		
დიზელის სარეზერვუარო პარკი		
რეზერვუარი №2 (1895 წ., РВК, 3 000 მ³)	2023 – ფსკერისა და პირველი სარტყლის შიდა იზოლაცია, სახურავზე ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისისა და მინაბოჭკოს მოწყობა	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2024-2025 წლებში
რეზერვუარი №6 (1895 წ., РВК, 3 000 მ³) გაწმენდილი წყალი	2025 – ძველი სახურავის დემონტაჟი და ახალი სახურავის მონტაჟი; რეზერვუარის კედლის გამაგრება	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2024-2025 წლებში
რეზერვუარი №9 (1895 წ., РВК, 1 000 მ³)	2024 – სახურავზე ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისისა და მინაბოჭკოს მოწყობა	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2024-2025 წლებში
რეზერვუარი №16 (1895 წ., РВК, 3 000 მ³)	2023 – სახურავზე ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისისა და მინაბოჭკოს მოწყობა	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2024-2025 წლებში
რეზერვუარი №22 (1905 წ., РВК, 5 000 მ³)	2024 – ფსკერისა და პირველი სარტყლის გვერდითი ზედაპირის შიდა იზოლაცია	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2024-2025 წლებში
რეზერვუარი №31	2022- ფსკერის ჰერმეტულობის აღდგენა	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2028-2029 წლებში
რეზერვუარი №34 (1895 წ., РВК, 4 000 მ³)	2024 – სახურავზე ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისისა და მინაბოჭკოს მოწყობა	ითვალისწინებდა დემონტაჟს 2026 წელს, ხოლო რემონტს/შეღებვას 2020-2021 წლებში.
ნავთის უბანი		
რეზერვუარი №161 (1964 წ., РВС, 5 000 მ³)	2024 – ფსკერისა და პირველი სარტყლის გვერდითი ზედაპირის შიდა იზოლაცია	ითვალისწინებდა ახალი რეზერვუარების მშენებლობას ძირითად ტერიტორიაზე დემონტირებული რეზერვუარების ნაცვლად 2029-2030 წლებში
რეზერვუარი №164 (1964 წ., РВС, 5 000 მ³)	2023 – ფსკერისა და პირველი სარტყლის შიდა იზოლაცია	ითვალისწინებდა ახალი რეზერვუარების მშენებლობას ძირითად ტერიტორიაზე დემონტირებული რეზერვუარების ნაცვლად 2029-2030 წლებში
ნედლი ნავთობის და მაზუთის უბანი		
რეზერვუარი №92 (1895 წ., РВК, 4 000 მ³)	2021 – ორთქლის გამათბობლის სპირალების (ზმეევიკების) შეკეთება; კედლისა და ფსკერის გაწმენდა ანტიკოროზიული ხსნარით; კედლის (I სარტყელი) და ფსკერის დამუშავება ორკომპონენტიანი ეპოქსიდური ფისით	ითვალისწინებდა ახალი რეზერვუარების მშენებლობას ძირითად ტერიტორიაზე დემონტირებული რეზერვუარების ნაცვლად 2028-2029 წლებში

რეზერვუარი №165 (1964 წ., PBC, 5 000 მ³)	2025 – ძველი (ამორტიზებული) თბოიზოლაციის დემონტაჟი 2026- მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი	–
რეზერვუარი №166 (1964 წ., PBC, 5 000 მ³)	2023 – სახურავის ნაწილობრივი შეკეთება; ფსკერისა და პირველი სარტყლის შიდა იზოლაცია	-
რეზერვუარი №169 (1964 წ., PBC, 5 000 მ³)	2022 – ფსკერის ნაწილობრივი შეკეთება (გამჭოლი ხვრელის ამოვსება და შედუღების ნაკერების გამაგრება 3 მ-მდე)	-
რეზერვუარი №228 (1995 წ., PBC, 5 000 მ³)	2021 რეზერვუარის ფსკერის შეცვლა	–

ილუსტრაცია 0.9. ძირითად ტერიტორიაზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები




2024-2025 წლებში, კაპრეშუმის უბანზე არსებულ რეზერვუარებს ასევე ჩაუტარდათ კაპიტალური რემონტი. ინფორმაცია განხორციელებული სამუშაოების შესახებ მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 0.5. კაპრეშუმის უბანზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები

სარეზერვუარო პარკი/რეზერვუარი	ღონისძიება	პროგრამის თანახმად დემონტაჟის/რემონტის საჭიროება
კაპრეშუმის უბანი		
რეზერვუარი №203 (1978 წ., PBC, 10 000 მ³)	2025 – ფსკერის ნაწილობრივი შეცვლა; ფსკერისა და პირველი	-

	სარტყლის შიდა იზოლაცია	
რეზერვუარი №204 (1978 წ., PBC, 10 000 მ³)	2025 – კაპიტალური რემონტი	-
რეზერვუარი №210 (1976 წ., PBC, 10 000 მ³)	2024 – კაპიტალური რემონტი	კაპიტალურ რემონტი, მათ შორის შეღებვა 2021-2022 წლებში
რეზერვუარი №213 (1973 წ., PBC, 10 000 მ³)	2024 – აპიტალური რემონტი	კაპიტალურ რემონტი, მათ შორის შეღებვა 2021-2022 წლებში
რეზერვუარი №219 (1973 წ., PBC, 7 500 მ³) წყლის სამარაგო რეზერვუარი	2024 –კაპიტალური რემონტი	კაპიტალურ რემონტი, მათ შორის შეღებვა 2021-2022 წლებში

ილუსტრაცია 0.10. კაპრეშუმის უბანზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები



<u>ნავმისადგომების უბანი</u>

რეზერვუარი №1 (1983 წ., PBC, 10 000 მ³)

5. 2023 – ფსკერისა და პირველი სარტყლის შიდა იზოლაცია

ცხრილი 0.6. ნავმისადგომების უბანზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები

სარეზერვუარო პარკი/რეზერვუარი	ღონისძიება	პროგრამის თანახმად დემონტაჟის/რემონტის საჭიროება
ნავმისადგომების უბანი		
რეზერვუარი №1 (1983 წ., PBC, 10 000 მ³)	2023 – ფსკერისა და პირველი სარტყლის შიდა იზოლაციაა	კაპიტალური რემონტი და შეღებვა 2022-2023 წლებში


ილუსტრაცია 0.11. ნავმისადგომის უბანზე არსებული N1 რეზერვუარის განთავსების სიტუაციური სქემა



ცხრილი 0.1. იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს უბანზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები

სარეზერვუარო პარკი/რეზერვუარი	ღონისძიება	პროგრამის თანახმად დემონტაჟის/რემონტის საჭიროება
იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქრო		
რეზერვუარი №6 (1970 წ., PBC, 1 000 მ³)	2022 – ფსკერის ნაწილობრივი შეკეთება	–
რეზერვუარი №13 (1970 წ., PBC, 400 მ³)	2025 – კაპიტალური რემონტი	–
რეზერვუარი №14 (1970 წ., PBC, 400 მ³)	2025 –კაპიტალური რემონტი	–

ილუსტრაცია 0.12. იმპორტირებული ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს უბანზე არსებული რეზერვუარები, რომელთაც სხვადასხვა პერიოდში ჩაუტარდათ სარემონტო სამუშაოები



ინფორმაცია არსებულ და საპროგნოზო ტვირთბრუნვის შესახებ

2020–2025 წლებისთვის ბათუმის ნავთობტერმინალის საწარმოს ტექნოლოგიური გეგმით გათვალისწინებული იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვა წლიურად 5 020 000 ტონის ოდენობით. თუმცა, ფაქტიური ტვირთბრუნვის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში საწარმოს რეალური დატვირთვა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ მაჩვენებლებს.

ფაქტიური ტვირთბრუნვა 2020–2025 წლებში მერყეობდა 1 050 815 ტონიდან 1 926 709 ტონამდე, რაც შეადგენდა დაგეგმილი მოცულობის დაახლოებით 21–38%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ წლებში, განსაკუთრებით 2022 და 2024 წლებში, დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია, საწარმო მთლიანობაში ფუნქციონირებდა არასრული დატვირთვით.

ნედლი ნავთობის მიმართულებით განსაკუთრებით თვალსაჩინოა განსხვავება გეგმით გათვალისწინებულ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის. ტექნოლოგიური გეგმის მიხედვით ნედლი ნავთობის გადატვირთვა უნდა ყოფილიყო 1 700 000 ტონა წელიწადში, მაშინ როდესაც ფაქტიურად 2020–2024 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ხოლო 2025 წელს ნედლი ნავთობის გადატვირთვა საერთოდ არ დაფიქსირებულა. ეს მიუთითებს, რომ საწარმოს საქმიანობა აღნიშნულ წლებში ძირითადად კონცენტრირებული იყო ნავთობპროდუქტებზე და არა ნედლ ნავთობზე.

მუქი ნავთობპროდუქტების ჯგუფში (მაზუთი და ვაკუუმგაზოილი) ფაქტიური ტვირთბრუნვა შედარებით უფრო ახლოს იყო დაგეგმილ მაჩვენებლებთან, განსაკუთრებით მაზუთის მიმართულებით. 2024 წელს მუქი ნავთობპროდუქტების ფაქტიურმა ტვირთბრუნვამ 1 005 671 ტონა შეადგინა, რაც მიუთითებს ამ სეგმენტის მნიშვნელოვან ოპერაციულ როლზე საწარმოს საქმიანობაში. ნათელი ნავთობპროდუქტების ნაწილში (დიზელი, ბენზინი, ნავთი) ფაქტიური ტვირთბრუნვა 2020–2025 წლებში ასევე ჩამორჩებოდა გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს, თუმცა 2024–2025

წლებში შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია.
თხევადი ნავთობის აირის (გნა) მიმართულებით ფაქტიური მაჩვენებლები 2020–2025 წლებში მერყეობდა 89 239–213 832 ტონის ფარგლებში, რაც ასევე მნიშვნელოვნად ნაკლებია გეგმით განსაზღვრულ 600 000 ტონასთან შედარებით.
ფაქტიური ტვირთბრუნვის ანალიზი აჩვენებს, რომ საწარმოს საქმიანობაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა **მუქი და ნათელი ნავთობპროდუქტების ოპერირებამ**, განსაკუთრებით მაზუთის, დიზელისა და ბენზინის მიმართულებებით. აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა საჭიროება, რომ არსებული რეზერვუარები გამოყენებულიყო **უფრო მოქნილი ფუნქციური დანიშნულებით**, ტექნოლოგიური შესაძლებლობების, პროდუქციის ნომენკლატურისა და რეალური ოპერაციული მოთხოვნების გათვალისწინებით.
შესაბამისად, განხორციელებული ცვლილებები ემსახურება არა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, არამედ **არსებული სარეზერვუარო პარკების ფუნქციურ ადაპტაციას ბაზრის მოთხოვნებთან**. კერძოდ, ოპტიმიზაცია გამოიხატება:

- ნაკლებად დატვირთული ან ფუნქციურად გადაუნაწილებელი რეზერვუარების სხვა ოპერაციულ სქემაში ჩართვით;
- რეზერვუარების გამოყენების გაფართოებით სხვადასხვა სახის ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისთვის;
- ტექნიკურად ვარგისი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებით ფართომასშტაბიანი დემონტაჟის ნაცვლად;
- იმ რეზერვუარების გადანაწილებით, რომელთა გამოყენებაც უფრო რაციონალურია სხვა საამქროების ფარგლებში;
- და მხოლოდ იმ შემთხვევებში დემონტაჟის განხორციელებით, როდესაც ამას მოითხოვს კონკრეტული ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა.

საპროგნოზო ტვირთბრუნვის მაჩვენებლები ასევე ადასტურებს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები **ბაზრის მოთხოვნებთან თანხვედრაშია**. 2026–2030 წლებისთვის დაგეგმილი საერთო ტვირთბრუნვა შეადგენს წლიურად 4 300 000 ტონას, რაც კვლავ ჩამორჩება გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებულ 5 020 000 ტონას. ეს ნიშნავს, რომ საწარმო არც საპროგნოზო პერიოდში გეგმავს თავისი მაქსიმალური ტექნოლოგიური სიმძლავრის სრულ დატვირთვას, ხოლო ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია ეფუძნება **რეალისტურ, ბაზარზე მორგებულ ოპერაციულ სცენარს** და არა გაფართოებულ საწარმოო მოდელს.
ამგვარად, ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია წარმოადგენს **ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას**, რომელიც უზრუნველყოფს ტერმინალის საქმიანობის შესაბამისობას ბაზრის მიმდინარე და საპროგნოზო მოთხოვნებთან. აღნიშნული მიდგომა ასევე ამცირებს ზედმეტი ინფრასტრუქტურული ჩარევების საჭიროებას, ინარჩუნებს ტექნიკურად გამართულ რეზერვუარებს ექსპლუატაციაში და უზრუნველყოფს არსებული რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას მოქმედი გარემოსდაცვითი, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოთხოვნების დაცვით.
საერთო ჯამში, შემცირებული მოთხოვნისა და ფაქტიური ტვირთბრუნვის მონაცემების გათვალისწინებით, საწარმოს მიერ ახალი რეზერვუარების მონტაჟი არ განიხილება, ხოლო ისტორიული რეზერვუარების დემონტაჟის აუცილებლობაც არ დგას, რადგან მათი ექსპლუატაცია მიმდინარეობს შემცირებული დატვირთვის პირობებში და ყველა მოქმედი რეზერვუარი გადის რეგულარულ ტექნიკურ ინსპექტირებასა და უსაფრთხოების კონტროლს.
ამასთან, წარმოდგენილი პროგნოზი ეფუძნება არსებული ბაზრის პირობებსა და ოპერაციულ შესაძლებლობებს და არ წარმოადგენს გარანტირებულ მაჩვენებელს. ფაქტიური ტვირთბრუნვა შესაძლოა იყოს დაგეგმილზე ნაკლებიც, რაც დამოკიდებულია ნავთობისა და ნავთობპროდუქტებზე ბაზრის მოთხოვნის დინამიკაზე, ლოგისტიკური ნაკადების

გადანაწილებასა და სხვა გარე ფაქტორებზე.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ საწარმოს საქმიანობა, მათ შორის არსებული ინფრასტრუქტურისა და რეზერვუარების ექსპლუატაცია, პროგნოზირებად პერიოდში გაგრძელდება საშუალო ან არასრული დატვირთვის პირობებში, რაც არ ქმნის დამატებით გარემოსდაცვით ზეწოლას გზშ-ის ანგარიშით შეფასებულ ზემოქმედებებთან შედარებით.

საწარმოს საქმიანობის წლიური ტვირთბრუნვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი 0.2 საწარმოს ფაქტიური ტვირთბრუნვა წლების მიხედვით (ტონა)

ნავთობპროდუქტის დასახელება	ფაქტიური ტვირთბრუნვა წლების მიხედვით (ტონა)					
	2020	2021	2022	2023	2024	2025
მერკაპტანიანი ნედლი ნავთობი			163,654	86,203		
ჩვეულებრივი ნედლი ნავთობი	80,776	106,720	114,877		753	
სულ ნედლი ნავთობი	**80,776**	**106,720**	**278,531**	**86,203**	**753**	**0**
მაზუთი	285,880	310,146	917,510	748,875	1,004,562	842,653
ვაკუუმგაზოილი	51,965	43,104	21,894	25,527	1,110	6,470
სულ მუქი ნავთობპროდუქტები	**337,844**	**353,250**	**939,404**	**774,402**	**1,005,671**	**849,123**
დიზელის საწვავი	264,835	233,441	233,092	206,181	378,206	458,024
ბენზინი	243,157	503,104	295,090	239,650	276,008	286,738
ნავთი		38,623		53,825	18,739	2,763
სულ ნათელი ნავთობპროდუქტები	**507,993**	**775,168**	**528,182**	**499,655**	**672,953**	**747,525**
გნა	124,202	89,239	180,592	213,832	176,237	149,515
სულ გნა	**124,202**	**89,239**	**180,592**	**213,832**	**176,237**	**149,515**
სულ	**1,050,815**	**1,324,377**	**1,926,709**	**1,574,092**	**1,855,614**	**1,746,163**

ცხრილი 0.3. დაგეგმილი ტვირთბრუნვა წლების მიხედვით (ტონა)

ნავთობპროდუქტის დასახელება	**დაგეგმილი ტვირთბრუნვა წლების მიხედვით (ტონა)**				
	2026	**2027**	**2028**	**2029**	**2030**
მერკაპტანიანი ნედლი ნავთობი	300 000	300 000	300 000	300 000	300 000
ჩვეულებრივი ნედლი ნავთობი	200 000	200 000	200 000	200 000	200 000
სულ ნედლი ნავთობი	**500 000**	**500 000**	**500 000**	**500 000**	**500 000**
მაზუთი	1 700 000	1 700 000	1 700 000	1 700 000	1 700 000
ვაკუუმგაზოილი	50 000	50 000	50 000	50 000	50 000
სულ მუქი ნავთობპროდუქტები	**1 750 000**	**1 750 000**	**1 750 000**	**1 750 000**	**1 750 000**
დიზელის საწვავი	550 000	550 000	550 000	550 000	550 000
ბენზინი	600 000	600 000	600 000	600 000	600 000
ნავთი	300 000	300 000	300 000	300 000	300 000
სულ ნათელი ნავთობპროდუქტები	**1 450 000**	**1 450 000**	**1 450 000**	**1 450 000**	**1 450 000**
გნა	600 000	600 000	600 000	600 000	600 000
სულ გნა	**600 000**	**600 000**	**600 000**	**600 000**	**600 000**
სულ	**4 300 000**	**4 300 000**	**4 300 000**	**4 300 000**	**4 300 000**

ფაქტიური ტვირთბრუნვის მოცულობებიდან და გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილება არ იწვევს დამატებით გარემოსდაცვით რისკებს და არ ზრდის ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების ალბათობას. საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის ზრდის ან ოპერაციული რეჟიმის ცვლილების შემთხვევაში, საკითხი დაექვემდებარება ხელახალ შეფასებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ქვემოთ მოყვანილი მავნე ნივთიერებების ემისია, რომელთა მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები [5] მოცემულია ცხრილში 4.1

ცხრილი 4.1. მავნე ნივთიერებათა ძირითადი მახასიათებლები

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ³		საშიშროების კლასი
